CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## ჟურნალისტებს ფარული ჩანაწერების გაკეთებისთვის დაიჭერენ?!!




N14/2944/ 30 იანვარი 2014 წ ფასი 1 ლ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## რატომ იცავს „ქართული ოცნება“ ხათუნა გოგორიშვილის მიღებულ კოდექსს?



## ექსკლუზივი

### ვინ მფარველობს და რატომ არ ააპატიმრებენ მერაბიშვილის მეუღლეს?

### და რამდენი პრემია გადაუხადა მერაბიშვილმა სპეცრაზმელებს






## ღარიბაშვილმა ისრაელი კეზერაშვილის გადმოცემაზე დაითანხმა?





## ექსკლუზივი

### როგორ აიგდო ლევან ბერძენიშვილმა არასაპარლამენტო ოპოზიცია



## შემთხვევის ადგილიდან მიმალვაზე, პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობასა და საავარიო ვითარების შექმნაზე ჯარიმები იზრდება



## ექსკლუზივი

### უფლებადამცველთა „ენჯეო“ ეკა ბესელიას ბრალს სდებს





## „ალიას“ ჟურნალისტს შსს-ზე რიცხული ავტომობილით დაესხნენ თავს?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილს ახალი მრჩეველი ჰყავს



საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეთნიკური უმცირესობების საკითხებში სოფიო შამანიდი გახდა. ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორია, არის ბერძნული ენის სპეციალისტი, აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

„კარგად ვიცნობ უმცირესობების პრობლემებს, მათთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს და ვფიქრობ, მათი პრობლემების შესახებ ჩემი შეფასება ადეკვატური იქნება. მე ვიქნები შუამავალი მათსა და პრეზიდენტს შორის. შევეცდები, რომ პრეზიდენტი ყველა იმ პრობლემის შესახებ საქმის კურსში იყოს, რომელიც აწუხებთ ეთნიკურ უმცირესობებს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ არავინ იგრძნოს თავი მეორეხარისხოვან მოქალაქედ“, – აცხადებს შამანიდი. (ინტერპრესნიუსი)

## 1 თებერვლიდან საქართველოში ძლიერი ყინვები იწყება



თებერვლის პირველ კვირაში აღმოსავლეთ საქართველოში მაღალი ყინვები დაფიქსირდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ინფორმაციით, 30-31 იანვარს, მთელ საქართველოში თოვლის ნალექია მოსალოდნელი.

31 იანვარს, აღმოსავლეთ საქართველოს ბარშიც დღისითაც და ღამითაც ყინვები იქნება. 1-ლი თებერვლიდან, ერთი კვირის მანძილზე, უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში, დღისითაც და ღამითაც, მაღალი ყინვები დაფიქსირდება.

1-ლი თებერვლიდან დასავლეთ საქართველოში თოვლის ნალექი შეწყდება, აღმოსავლეთ საქართველოში კი თოვლის ნალექის ინტენსივობა თანდათან შესუსტდება.

აღმოსავლეთ საქართველოში 1-ელ თებერვალს, ღამით, მოსალოდნელია ყინვა, საშუალოდ, -10 გრადუსი, დღისით -5 გრადუსი. თბილისში, დღისით -3; ღამით -5;

2 თებერვალს, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში იქნება ღამით -15-მდე; დღისით -6; -1; თბილისში დღისით -5; ღამით -9 გრადუსი. (ინტერპრესნიუსი)

## „უნდა ვიცოდეთ, ვის ხელში ვაგდებთ თბილისის ბიუჯეტს“



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯაბა სამუშიას თქმით, თბილისის მერიას ამ დრომდე არ წარმოუდგენია ისეთი ბიუჯეტი, როგორსაც საკრებულო ითხოვს.

„ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვის ხელში ვაგდებთ თბილისის ბიუჯეტს. საკრებულო ვერ აიღებს პასუხისმგებლობას, ქალაქის 785-მილიონიანი ბიუჯეტი იმ ადამიანებს მისცეს განსაკარგად, რომლებიც წლების განმავლობაში სწორედ თბილისის ბიუჯეტს იყენებდნენ პარტიული ინტერესებისთვის“, – განაცხადა სამუშიამ. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაცმოძრაობა“ უსუფაშვილის განცხადებას ეხმაურება

„ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებას ეხმაურება, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს ეხება.

„პარლამენტის თავმჯდომარემ განცხადა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელის“ სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებული პროცესების წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობა მას ეკისრება. ჩვენი შეფასებით, ეს იყო პირადად პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დაგეგმილი და წარმართული პროექტის წარუმატებლობა. პასუხისმგებლობა კი მთელ უმრავლესობას ეკისრებოდა. მაგრამ სრულად პასუხისმგებლობა პარლამენტის თავმჯდომარეს მას შემდეგ ეკისრება, რაც ბატონმა დავითმა არ გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების მოწოდება და განაცხადა, რომ მეურვეობის კანდიდატთა შესარჩევად ის ახალ კომისიას დააკომპლექტებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

# გიგა ბოკერიას გამდიდრებული ნათესავების სია



**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკითხზე: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნესინტერესები“, განხორციელებული მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. ამ ეტაპზე ორგანიზაციამ გიგა ბოკერიას, გიგი უგულავასა და გივი თარგამაძის ფინანსური ანგარიშები შეისწავლა. „ალია“ სამივე მათგანის ბიზნესინტერესებზე უკვე წერდა, თუმცა ბოკერიას შემთხვევაში ახალი დეტალები გამოიკვეთა.**

**„ალია“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელს, არჩილ კაიკაციშვილს დაუკავშირდა:**

**— არჩილ, მსგავსი საკითხების შესწავლას პერმანენტული ხასიათი ექნება? ანუ სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების ქონებით თუ დაინტერესდებით?**

– ჩვენ კვლევა დავიწყეთ 2013 წლის დეკემბერში. იქიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტაცია შრომატევადია, ამ მონიტორინგის ფარგლებში გამოვაქვეყნეთ არა მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები და მათი შესაძლო ფარული ინტერესები ბიზნესთან და სამეწარმეო საქმიანობასთან, არამედ მოქმედი ხელისუფლების საქმიანობაც. ჩვენ პერიოდულად, 2014 წელს გამოვაქვეყნებთ ასეთ მასალებს, საზოგადოებას მივაწვდით ინფორმაციას, რა ქონებას ფლობენ ესა თუ ის მაღალჩინოსნები და მათი ოჯახის წევრები.

უკანონო არაფერია, როცა კომპანიები იღებენ მოგებას, მაგრამ როცა თანამდებობის პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას რაიმე ფორმით... შეგახსენებთ, რომ ამას გადააყოლეს ვალერი გელაშვილი და სხვებს რატომ არ მოეკითხათ? მაღალი თანამდებობის პირს ხომ ეკრძალება მსგავსი საქმიანობა. როცა ადამიანები პოლიტიკაში გასამდიდრებლად მოდიოდნენ, ოჯახის წევრებს ჰქონდათ წარმატებული ბიზნესები.

**— მონიტორინგის თანახმად, გიგა ბოკერიას რა ქონება აქვს?**

– მასთან დაკავშირებულ ფირმებს, არსებული მასალების მიხედვით, 45 მლნ ლარამდე შემოსავალი აქვთ მიღებული. კერძოდ, საჯარო ინფორმაციის თანახმად, გიგა ბოკერიას ფარული ბიზნესინტერესები უნდა დავინახოთ მამის, მეუღლის, მეუღლის დისა და სიძის ბიზნესსაქმიანობაში.

გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერია წარმოადგენს სამშენებლო ფირმა შპს „ლებოს“ (ს/ნ 205172999), რომლის 100%-იანი წილის მფლობელიცაა. კომპანიის შემოსავალი შეადგენს 2 363 606 ლარს. ლევან ბოკერია, აგრეთვე, ფლობს 20%-იანი წილს სამშენებლო ფირმა შპს „არქსტუდიაში“ (ს/ნ 211326867), რომლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 26 523 662 ლარს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ გიგა ბოკერიას ცოლისდა რუსუდან ჩერგოლეიშვილი არის სარემონტო ფირმა შპს „ოლივდიზაინის“ დამფუძნებელი (ს/ნ 202351383), რომელიც ფლობს 50%-იან წილს. ორგანიზაციის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 14 621 734 ლარს. რუსუდან ჩერგოლეიშვილი, აგრეთვე, ფლობს 50%-იან წილს გალერეა შპს „ახალ გალერეაში“ (ს/ნ 404399593), რომლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 161 474 ლარს.

ყურადღებას მივაქცევთ რუსუდან ჩერგოლეიშვილის მეუღლის, კახაბერ ნინუას საქმიანობასაც, რომელიც დამფუძნებელია შემდეგ ორგანიზაციებში:

შპს „გალფ რეისინგი“, რომლის ერთობლივი შემოსავალია: 324 487 ლარი (ს/ნ 404915320, წილი – 100%, საქმიანობა: ავტომობილებით მომსახურება); ააიპ „სამხედრო ოპერაციებში გარდაცვლილ მოსამსახურეთა და დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდი „თანადგომა“, რომლის ერთობლივი შემოსავალი იყო 1 552 873 ლარი. კომპანია 2012 წლის აპრილში იქნა ლიკვიდირებული (ს/ნ 204559245). კახაბერ ნინუას 2011 წლის 8 დეკემბერს შეძენილი აქვს 3 025კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი წყნეთში (ნაკ. 111/033) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისგან. აგრეთვე, 2011 წლის სექტემბერში, 1000კვ.მ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე. შესყიდული ქონებების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 400 000 ლარს.

რაც შეეხება საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიორგი ბოკერიას მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ დეკლარაციას, მის სახელზეა გაფორმებული უძრავი ქონება: ბინა პეკინის გამზირზე №2-ში, ფართობი 60.00 კვ.მ, ხოლო მეუღლის, თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე გაფორმებულია მსუბუქი ავტომანქანა „ბეემვე 120“. საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან ბოკერიას, ხელფასის სახით, მიღებული აქვს 85790.00 ლარი, ხოლო მეუღლეს, თამარ ჩერგოლეიშვილს, ჟურნალ „ტაბულას“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან, 132000.00 ლარი. დეკლარაციის მიხედვით, თამარ ჩერგოლეიშვილი აღნიშნული ჟურნალის აქციონერია. გიგა ბოკერიას არ გააჩნია ფასიანი ქაღალდები.

დეკლარაციის მიხედვით, გიორგი ბოკერიას სესხის სახით აღებული აქვს 27 000.00 ლარი, ხოლო მეუღლეს, თამარ ჩერგოლეიშვილს – 52500.00 ლარი. მეუღლეს ეკუთვნის კიდევ ორი სასესხო ვალდებულების აღება, ერთგან 23 500.00 ლარის, ხოლო მეორე შემთხვევაში - 25 000 ლარის ოდენობით. აგრეთვე, თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე, ფრანგულ ბანკში, საბანკო ანგარიშზეა 119 000.00 ევრო, ხოლო საქართველოს ბანკებში შემდეგი ფულადი დანაზოგი აქვს: 1403.70 აშშ დოლარი („თიბისი ბანკი“) და 6681.00 ლარი („ლიბერთი ბანკი“). თავად გიგა ბოკერიას ანგარიშზე, დეკლარაციის მიხედვით, 7799.56 ლარი გააჩნია. („თიბისი“ ბანკი).

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილი ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენით კმაყოფილია



პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა „ჩვენი ქვეყნის ნორმალურ, სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა“.

„ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ბუნებრივია, რაღაცები მშვიდდება, რაღაცები წყნარდება, პრობლემების გარეშე გვარდება და ბატონი ბიძინასთვის მოქალაქეობის აღდგენაც ასეთივე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი საზოგადოების დალაგებისა და ნორმალიზაციისთვის“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

„თავისთავად მთელი საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელი იყო, როდესაც ამხელა ღვაწლის მქონე ადამიანს, რომელიც აპირებდა პოლიტიკაში ნაბიჯების გადადგმას, ჩამოართვეს მოქალაქეობა. ეს იყო სილის გაწნა მთელი ქართული საზოგადოებისთვის იმ უგუნური პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების მხრიდან, ვინც შესაბამისი პასუხი მიიღო ქართული საზოგადოებისგან ერთი წლის მერე და შემდეგ კიდევ ერთი წლის მერე“, – დასძინა მარგველაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## გიგი უგულავა სტრასბურგში სიტყვით გამოვიდა



გიგი უგულავას სიტყვით გამოსვლის ტექსტი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაავრცელა.

როგორც უგულავამ აღნიშნა, „დღეს როცა ჩვენი აზრები უკრაინაშია, ვიმედოვნებთ, რომ ევროკავშირი დაიცავს უკრაინელი ხალხის დემოკრატიულ და ევროპულ არჩევანს“.

უგულავა მიიჩნევს, რომ საჭიროა ევროკავშირმა შესაბამისი ეფექტური პასუხი გასცეს რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის კამპანიას, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ შეაფერხოს რუსეთის მეზობელი ქვეყნების სწრაფვა ევროკავშირის, დემოკრატიისა და თავისუფლებისკენ.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაოდ მაღალია რისკი იმისა, რომ ვლადიმერ პუტინის დისკურსი იმის შესახებ, რომ რუსეთსა და მის სამეზობლოში დემოკრატია, უბრალოდ, შეუძლებელია, მეტ ლეგიტიმაციას შეიძენს“, – განაცხადა უგულავამ.

მან ისაუბრა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზეც და აღნიშნა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელებული რადიკალური რეფორმების შედეგად, საქართველომ თითქმის შეძლო პუტინის პარადიგმის გაქარწყლება.

„ჩვენ მოველით ჩვენი მეგობრებისგან, რომ დაეხმარონ საქართველოს მისი დემოკრატიული მიღწევების შენარჩუნებაში, რომელთაც დღეს სერიოზული საფრთხე ემუქრება. პირველად ქვეყნის ისტორიაში ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილება იყო პოზიტიური ნაბიჯი და იმ პოლიტიკური სისტემის ტესტი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იქმნებოდა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი იმ რეგიონისთვის, სადაც მთავრობები ჩვეულებრივ არ იცვლებიან არჩევნების გზით. სამწუხაროდ, ცვლილების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლოა, არათუ კითხვის ქვეშ დააყენოს ეს პრეცედენტი, არამედ შექმნას კიდევ უფრო სახიფათო მაგალითი მთელი რეგიონისთვის. სამწუხაროდ, ახალმა მმართველმა ძალამ გადაწყვიტა, აწარმოოს მასობრივი პოლიტიკური შურისძიების კამპანია წინა ხელისუფლების მიმართ და არ მიიჩნიოს ის ლეგიტიმურ ოპოზიციად. მრავლად გვაქვს მაგალითები იმისა, როგორ უარყოფენ ყოფილი და ახლანდელი პრემიერ-მინისტრები „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც მთავარ ოპოზიციურ ძალას.

„ახლახან პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მას არ სმენია „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ოპოზიციური ძალის შესახებ და მას „ნეოფაშისტური წარმონაქმნი“ უწოდა“. – აცხადებს უგულავა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# ჟურნალისტებს ფარული ჩანაწერების გაკეთებისთვის დაიჭერენ?

**რაზე იმსჯელა და შეთანხმდა შსს-ში გამართულ სხდომაზე ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია? რა სასჯელი წესდება სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების შენახვისა და გავრცელებისთვის?**

**„ალიას“ ესაუბრება „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კიმისიის წევრი ეკა გიგაური:**

– პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალები არქივში აღარ არის დარჩენილი. ინტიმური კადრები განადგურდა ჯერ კიდევ სექტემბერში. ის 28 ათასი ფაილი, რომელიც არის დარჩენილი, არის ჩვეულებრივი თვალთვალისა და მიყურადების არქივი სხვადასხვა ადამიანებზე. ჩვენ მოვითხოვთ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიების სწრაფად ჩატარებასა და პირველ რიგში, დამკვეთების დასჯას.

**— საუბარი იყო ორ დისკზე, რომელიც გადარჩევის პროცესში აღმოჩნდა და რომელზეც ინტიმური ხასიათის ვიდეოებია.**

– ორი დისკი ნამდვილად იქნა აღმოჩენილი ამ არქივის გადახარისხების პერიოდში და ეს ორი დისკი განადგურდება, როგორც განადგურდა 180-მდე ფაილი სექტემბერში.

**— რას უპირებს კომისია იმ 28 ათას ფაილს?**

– კომისიის წევრთა შორის ამაზე აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა, ყველა ვთანხმდებით, რომ უნდა დაიწყოს გამოძიება და დადგინდეს იმ პირთა წრე, რომლებიც გასცემდნენ ბრძანებას, მომხდარიყო სხვადასხვა ადამიანებზე თვალთვალი, მიყურადება, მომხდარიყო მათი ფირებზე ასახვა და შექმნილიყო მსგავსი არქივი. ეს უკვე გამოძიების პრეროგატივაა, როგორ მიაკვლევს დამნაშავეებს და დაადგენს ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ იმას, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება და დადგენილ იქნენ ის პირები, რომლებიც გასცემდნენ უკანონო მიყურადებისა და ამ არქივის შექმნის ბრძანებას.

**— არაერთხელ უსაუბრიათ თვითონ შსს-ს წარმომადგენლებს რომ არსებობს მაღალი ალბათობა, კიდევ იყოს ვიდეოები, რომლებიც ქვეყნიდან არის გატანილი. შსს აწარმოებს მოკვლევას ამაზე?**

– დიახ, არც მთავრობის წარმომადგენლები უარყოფდნენ თავის დროზე, რომ შესაძლოა, ფარული ვიდეოჩანაწერები, რომელიც სხვის პირად ცხოვრებას ასახავს, ვინმეს ხელში იყოს. ამ შემთხვევაში ისევ საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ. ერთადერთი, რაზეც ჩვენ ამ კომისიის ფარგლებში ვიმუშავეთ, ის არის, რომ ვამკაცრებთ კანონმდებლობას უკანონოდ მოპოვებული მასალების შენახვისა და გავრცელებისთვის. ჩვენ ვიმუშავეთ კანონში შესატან ცვლილებებზე და უახლოეს მომავალში შსს უკვე შეიტანს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს პარლამენტში. იმედი გვაქვს, რომ პარლამენტი უმოკლეს ვადებში განიხილავს ამ ცვლილებებს. გეტყვით, რომ კანონი მკაცრდება და ყველაზე მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, ორმაგდება სასჯელი ფარული ჩანაწერების შენახვისა და გავრცელებისთვის, რაც თავისთავად ერთგვარი პრევენცია იქნება იმ პირებისთვისაც, ვისაც სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოები ქვეყნიდან აქვთ გატანილი.

**ვიდეომასალებთან დაკავშირებული საკითხების კომენტირებისთვის „ალია“ იურისტ კახა კახიშვილს დაუკავშირდა:**

– ახალი რედაქციით ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ამკაცრებს სანქციას სამ მუხლში. ეს არის 157-ე „პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა“ და მეორეა, 158-ე მუხლი „კერძო კომუნიკაციების გასაჯაროება“. სანქცია მკაცრდება 159-ე მუხლშიც, რომელიც ეხება პირადი მიმოწერის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევას. დღეს მოქმედი რედაქციით 157-ე მუხლის პირველი ნაწილით ჩადენილი დანაშაული ისჯება გამოსასწორებელი სამუშაოთი ვადით 1 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე. მეორე ნაწილი „პირადი ან ოჯახური საიდუმლოების უკანონოდ გამოყენება, მისი გავრცელება სხვადასხვა საჯარო გამოსვლით, ან მაუწყებლით“, ასევე ისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე. ამავე მუხლის მესამე ნაწილი გულისხმობს, რომ მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი ანგარებით ან არაერთგზის, ანდა პირის მიერ, ვისაც პროფესიული ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ევალებოდა საიდუმლოების დაცვა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი ვადით 3 წლამდე, ან თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვით 3 წლამდე. ეს სამივე მუხლი მიეკუთვნება დანაშაულის ნაკლებად მძიმე კატეგორიას. იმ ცვლილებებით, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინა იუსტიციისა და შს სამინისტრომ, სანქციები მკაცრდება და ჩვენ შევჯერდით ამაზე.

თუმცა სანქციების გამკაცრების გარდა, ფართოვდება დაკონკრეტება იმ ვითარებისა და გარემოებისა, რომლის დროსაც ხდება მსგავსი დანაშაული. 157-ე მუხლის დისპოზიციაში შედის შემდეგი ცვლილება, ემატება მოქმედ რედაქციას ასევე პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება. ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომ პირობებში ან სოციალურ ქსელებში განთავსება. სოციალურ ქსელში სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოს, ან სხვის პირადი მიმოწერის გასაჯაროება სანქცირებული იქნება. გაიზარდა ჯარიმაც, ანუ ამავე მუხლის პირველ ნაწილში თუ მოქმედი რედაქციით სასჯელი არის თავისუფლების აღკვეთა ან გამოსასწორებელი სამუშაო ვადით 1 წლამდე, ახლა 2 წლამდე გამოსასწორებელ სამუშაოს ან 3 წლამდე პატიმრობას გულისხმობს სასჯელი.

მეორე ნაწილიც გამკაცრებულია და სასჯელია გამოსასწორებელი სამუშაო ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ოთხ წლამდე. მესამე ნაწილში თავისუფლების შეზღუდვით 5 წლამდე. ამ მუხლშიც გაფართოებულია მუხლის დისპოზიცია და დამატებულია პოლიტიკური მოტივი და თუკი ამ მოტივაციით ვრცელდება სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო, მაშინ სასჯელი ითვალისწინებს პატიმრობას 7 წლის ვადით. ახლა დანაშაულად ჩაითვლება უკვე ახალი მოქმედებები, რადგან მანამდე დისპოზიცია უფრო შებოჭილი იყო და სანქცია ნაკლები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დისპოზიციის გაფართოებასა და სანქციების გამკაცრებას ექნება შემაკავებელი ეფექტი მსგავსი დანაშაულის ჩამდენისთვის. მე, უბრალოდ, მქონდა 158-ე მუხლის დისპოზიციასთან პატარა შენიშვნა. დღეს წარმოდგენილ ახალ რედაქციაში პირდაპირ წერია, რომ კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება ისჯება კანონით. კომისიის წევრების ყურადღება გავამახვილე სწორედ ამ ნაწილზე და გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ კერძო საუბრის ჩაწერა, ალბათ, უფრო კარგად უნდა იქნეს განმარტებული, რადგან შესაძლებელია, აღმოვჩნდეთ ისეთ სიტუაციაში, რომ ადამიანმა ჩაიწეროს თანამდებობის პირი, რომელიც მას ქრთამს სძალავდა, ან მუქარას ჰქონდა ადგილი, თუმცა ამ მიზნით ჩაწერილი მასალა აღმოჩნდეს მის წინააღმდეგვე მიმართული.

გარდა ამისა, მსგავსი ჩანაწერი ახალ რედაქციაში იმოქმედებს მედიის წარმომადგენლებზეც, ვინაიდან ისინი ხშირად ახორციელებენ რესპონდენტების ფარულად ჩაწერას. ეს არის ცოტა სახიფათო რედაქცია. ამაზე დამეთანხმნენ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები და დაგვპირდნენ, რომ გადაიხედება აღნიშნული რედაქცია, რათა დაკონკრეტდეს, რა შემთხვევაში იქნება აკრძალული კერძო საუბრის ჩაწერა.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

## მამუკა კაციტაძე დიპლომატებს მიმართავს

თბილისის საკრებულოს წევრი მამუკა კაციტაძე დიპლომატიურ კორპუსს დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტის გარშემო მიმდინარე პროცესებით დაინტერესების თხოვნით მიმართავს.

როგორც მამუკა კაციტაძემ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას განაცხადა, თბილისის საკრებულოში ბიუჯეტთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესი რეალურად მიზნად ისახავს მარტის შუა რიცხვებიდან დედაქალაქში ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის შემოღებას. კაციტაძის თქმით, რეალური საფრთხე ჩნდება მილიონიან ქალაქში, რომლის ბიუჯეტი 785 მილიონი ლარია, რომ დამყარდეს არა მხოლოდ ერთპარტიული, არამედ ერთპიროვნული მმართველობა. რაც, კაციტაძის თქმით, ბუნებრივად გამოიწვევს ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების კონკრეტული მიმართულებით წარმართვას.

„თუკი ბიუჯეტი 11 მარტამდე ჩავარდება და საკრებულო მას ვერ დაამტკიცებს, შესაძლებელია, ამოქმედდეს ცენტრალური მართვის სახელისუფლებო მექანიზმი. დღეს ვერც ერთი პოლიტიკური ჯგუფი თბილისის საკრებულოში გადამწყვეტი უპირატესობით ვერ სარგებლობს, საჭიროა 24 ხმა და ვერც ერთი მხარე ამ ხმებს ვერ აგროვებს. ამიტომ მიდის ხელოვნური მოქმედებები, იმისთვის, რომ ბიუჯეტი ჩავარდეს. რაც არ უნდა ნორმალური ბიუჯეტი დაიდოს, სხვადასხვა საბაბითა და მიზეზებით, ბიუჯეტის ჩავარდნისთვის ხელოვნური მანიპულირება ხდება. ამ მანიპულირებებში არის ისეთი ქმედებებიც, რომ კონკრეტული დეპუტატები ტოვებენ საკრებულოს შემადგენლობას კვორუმის დაწევის მიზნით და ეს დეპუტატები არ არიან „ქართული ოცნების“ ფრაქციებიდან. ყველა ამ მანიპულირებით პროცესები უნდა მივიდეს 11 მარტამდე, რომ თბილისი დარჩეს ბიუჯეტის გარეშე და შემდეგ კანონის კონკრეტული მუხლიდან გამომდინარე, გაჩნდეს ცენტრალური მმართველობა და დედაქალაქის მთელი რესურსი ერთი პიროვნების მეშვეობით, ერთ პოლიტიკურ ძალას დაექვემდებაროს“, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

მან დიპლომატიურ კორპუსს სთხოვა, რომ დაეხმაროს და შეძლებისდაგვარად ხელი შეუშალოს იმ პროცესებს, რასაც ადგილი აქვს დედაქალაქის საკრებულოში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## იტალია ცხინვალის რეჟიმთან დოკუმენტის გაფორმებას უარყოფს



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო გავრცელებული ინფორმაცია ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმსა და სარდინიის ქალაქ ლანუზეის შორის „ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმების“ გაფორმების შესახებ.

27 იანვარს ოსური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 13 იანვარს ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა, ქ. ცხინვალის ე.წ. „ადმინისტრაციამ“ გააფორმა შეთანხმება სარდინიის ქ. ლანუზეისთან. გავრცელებული ინფორმაციით, იტალიური მხრიდან ე.წ. „შეთანხმებას“ ხელი მოაწერა ქ. ლანუზეის მერმა, დავით ფერელიმ. (ინტერპრესნიუსი)

## სუბარი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად დაინიშნა



სოზარ სუბარის უწყებას იურიდიული დახმარების საკითხთა ნაწილი ოფიციალურად ჩამოშორდა. როგორც პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებაშია ნათქვამი, საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სოზარ სუბარი 26 იანვრიდან განთავისუფლდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად.

ასევე, პრემიერის ბრძანების მიხედვით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველ მოადგილედ გრიგოლ გიორგაძე დაინიშნა, ხოლო მოადგილეებად ეკატერინე ქრისტესაშვილი, არჩილ თალაკვაძე და ბესიკ დევდარიანი. (ინტერპრესნიუსი)

## აშშ-ს ანგარიშში საქართველოს საარჩევნო პროცესი იქნება ასახული



აშშ-ის ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოში პოზიტიური საარჩევნო პროცესი იქნება ასახული.

ელჩი დარწმუნებულია, რომ ადამიანის უფლებებზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში დეტალურად იქნება განხილული ის წარმატებები და ხარვეზები, რომელიც გასული წლის განმავლობაში საქართველოში ადამიანის უფლებების სექტორში იყო.

„შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ მასში ასახული იქნება პოზიტიური საარჩევნო პროცესი, რომელიც, დამკვირვებლების შეფასებით, დემოკრატიულად ჩატარდა. ასევე ასახული იქნება კანონის უზენაესობის და სამართლებრივი პროცესის მნიშვნელობა საქართველოში. ვფიქრობ, სურათი ძირითადად პოზიტიური იქნება, მცირე ნიუანსებით“, – აღნიშნა ნორლანდმა. (ინტერპრესნიუსი)



# რატომ იცავს „ქართული ოცნება“ ხათუნა გოგორიშვილის მიღებულ კოდექსს?

**არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების განცხადებით, არც ერთი თემა არ არსებობს, რომლის გარშემოც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან პოზიციების დაახლოება მოხდა. ამიტომ ისინი საქმეში დიპლომატიური კორპუსის ჩართვას ცდილობენ. მორიგი შეხვედრა დიპლომატებთან 29 იანვარს გაიმართა, და სიტუაცია გააცნეს, მაგრამ, ჩაერევიან თუ არა ისინი ამ პროცესებში, ჯერ უცნობია.**

**ამ თემაზე სასაუბროდ „ალია“ ჯონდი ბაღათურიას დაუკავშირდა.**

**— ბატონო ჯონდი, რატომ ვერ თანხმდებით საარჩევნო კოდექსზე?**

– დავიწყოთ იმით, რომ თვითმმართველობის კოდექსი „ქართულმა ოცნებამ“ უკვე ჩააგდო. ახლა ჩვენ ვცდილობთ, საარჩევნო კოდექსის რეფორმირება გადავარჩინოთ და ხელისუფლება ვაიძულოთ, საარჩევნო კოდექსის რეფორმაზე წამოვიდეს. ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, ხათუნა გოგორიშვილის ავტორობით დაწერილი საარჩევნო კოდექსი, რომელსაც დიდის გულმოდგინებით, კბილებით იცავს „ქართული ოცნება“. რომ შეგახედათ გვერდიდან, კომიკურ ხასიათს იღებს, როცა ხათუნას კოდექსს ასეთი გულით იცავენ „ქართული ოცნების“ ლიდერები. მაშინ როცა ისინი ოპოზიციაში იყვნენ ჩვენთან ერთად, ამ კოდექსს აფასებდნენ, როგორც რეპრესიულს. მე ვეთანხმები ძველ შეფასებებს, რასაც ჩვენ ერთად ვაფასებდით, მაგრამ რიტორიკა მთლიანად შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“ და გადაიხარა ხათუნა გოგორიშვილის კოდექსის დაცვის მხარეს.

**— გასვლითი სხდომა ხომ გქონდათ ქობულეთში, სადაც პასუხები უნდა მოგესმინათ ხელისუფლებისგან, ამ ერთი კვირის მანძილზე ვერაფერზე ვერ შეთანხმდით, კიდევ ეს თემაა სასაუბრო?**

– ერთ თვეზე მეტია, მიდის დიალოგი და ჯერჯერობით ერთ საკითხზეც კი არ გაუციათ პასუხი. მხოლოდ ის გვითხრეს, რომ იმ საკრებულოებში, სადაც ათკაციანი პროპორციული სიაა, გადავწყვიტეთ, რომ თხუთმეტ კაცამდე გავზარდოთო. ეს მხოლოდ ღიმილის მომგვრელია, ამხელა მანძილზე მხოლოდ ამის სათქმელად ვიყავით წასულები. ჩვენ მაინც ვცდილობთ, დიალოგის ფორმატი შევინარჩუნოთ და არ მივცეთ ხელისუფლებას საბაბი, რომ მაგიდიდან ადგეს.

**— შეგიძლიათ გვითხრათ ძირითადი საკითხები, რაზეც გაქვთ პრობლემა?**

– ჩვენ ვითხოვთ ძირითადად სისტემურ რეფორმებს, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ, კონკურენტულ გარემოს, ამას ემატება სიების საკითხი. საარჩევნო სიების საკითხიც, დამეთანხმებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ესენია ჩვენი ძირითადი პრიორიტეტები. როდესაც მამუკა კაციტაძემ ამ სიების ფორმირება დაიწყო, დიდი ლანძღვა-გინება შეხვდა, მაშინ მეც კრიტიკულად ვიყავი განწყობილი ამის მიმართ, რადგან სია, რომელშიც მკვდარი სულები ბევრი იყო, უნდა შემცირებულიყო და გაიზარდა. მეორე საკითხი საარჩევნო ადმინისტრაციას შეეხება. დღეს საქართველოში არის 3 700 საარჩევნო უბანი, თითო უბანზე „ქართულ ოცნებას“ 13-დან 12 კომისიის წევრი ჰყავს და მეცამეტე არის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. ეს უსამართლობაა. ჩვენ ვითხოვთ სისტემურ რეფორმას, პროგრამა მაქსიმუმს, რომელიც გულისხმობს, მთლიანად გაუქმდეს პარტიული კომპონენტი და თითო პარტიას თითო წარმომადგენელი გვყავდეს საარჩევნო ადმინისტრაციაში. მაგრამ რადგანაც ამაზე გაშეშებულები არიან, ჩვენ ვითხოვთ პროგრამა მინიმუმს, რადგან თქვენ 13 წარმომადგენელი გყავთ, ჩვენ ერთი წარმომადგენელი მაინც გვყავდეს, რომ როგორღაც მდგომარეობა გათანაბრდეს.

**მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის უფასო სარეკლამო დროის ლიმიტი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა არჩევნების დროს. აქაც ასეთი მდგომარეობაა. უფასო სარეკლამო დრო აქვთ „ნაციონალებს“, „ქრისტიან-დემოკრატებს“ და „ქართულ ოცნებას“. სხვა პარტია ამით ვერ სარგებლობს. პროგრამა მინიმუმით კი მოვითხოვთ, რომ მაშინ მათაც გაუუქმონ ეს პრივილეგია და ვიყოთ თანაბარ მდგომარეობაში.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# „წყალი მარგებელი“ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისა და ევროპის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატის პლატინის სპონსორი გახდა

## ავთანდილ სვიმონიშვილი: „წყალი მარგებელი“ ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესს“

**კომპანია „წყალი მარგებელი“ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“ და „ევროპის მძლეოსნობის 2014 წლის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის“ პლატინის სპონსორი გახდა. თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას საქართველოს მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციაში 29 იანვარს მოეწერა ხელი. ორი მნიშვნელოვანი ღონისძიების პლატინის სპონსორობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსი ახვლედიანმა და კომპანია „წყალი მარგებელის“ დირექტორმა ავთანდილ სვიმონიშვილმა.**

მძლეოსნობის ფედერაციაში ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცერემონიალს მედიის, კომპანია „წყალი მარგებელისა“ და მძლეოსნობის ფედერაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

დოკუმენტზე ხელის მოწერის დასრულების შემდეგ კომპანია „წყალი მარგებელის“ დირექტორმა ავთანდილ სვიმონიშვილმა განაცხადა, რომ ფედერაციასა და „წყალი მარგებელს“ შორის დადებული ხელშეკრულებით მათი კომპანია არა მხოლოდ სპორტის განვითარებას ეხმარება, არამედ ჩვენი ქვეყნის თვითდამკვიდრებას უწყობს ხელს მსოფლიო თანამეგობრობაში.

– მოხარულები ვართ, რომ ამ საერთაშორისო პროექტის სპონსორი გავხდით. „წყალი მარგებელი“ თავისი პროდუქციით – „ნაბეღლავითა“ და „ბახმაროთი“ ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესს.

ჩვენი მიზანია და დაინტერესებული ვართ, რომ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი უფრო ფართოდ გავრცელდეს და დამკვიდრდეს. ვფიქრობთ, ეს კომპანიისთვის გრძელვადიანი ინვესტიციაა, რადგან ამის საშუალებით ჩვენ დავიბრუნებთ ისეთ თაობას, რომელიც უფრო ეფექტურად იმუშავებს და ხელს შეუწყობს კომპანიის წინსვლას. 1997 წლიდან ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ მსგავს პროექტებში, – **განაცხადა სვიმონიშვილმა.**

შეგახსენებთ, რომ „წყალი მარგებელი“ რაგბისა და ჭადრაკის ფედერაციასაც უწევს ფინანსურ მხარდაჭერას.

კომპანიის დირექტორის თქმით, ოლიმპიური ფესტივალის დასრულებამდე „წყალი მარგებელი“ საორგანიზაციო კომიტეტის გვერდით იქნება და დაეხმარება აგიტაცია-პროპაგანდასა თუ სხვა საჭირო ღონისძიებებში.




„წყალი მარგებელი“ ოლიმპიურ ფესტივალამდეც და ღონისძიების პროცესშიც მძლეოსნობის ფედერაციას სრულ მხარდაჭერას ჰპირდება.

ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“ და „ევროპის მძლეოსნობის 2014 წლის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის“ ფარგლებში ქართველი სპორტსმენები სპორტის ცხრა სახეობაში იასპარეზებენ. ესენია: **ჩოგბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ველოსპორტი, ცურვა, ძიუდო და სპორტული ტანვარჯიში.**

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ალექსი ახვლედიანის თქმით, ოლიმპიურ ფესტივალზე და გუნდური ჩემპიონატის დროს ფედერაცია შეეცდება, ისეთ შედეგი დადოს, რომელიც სპონსორებსაც მოუტანს წარმატებას და ქართულ სპორტსაც.

– ბიზნესის ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით საქართველოში. დღევანდელი დღე ამ ორი კომპონენტის შერწყმის ბრწყინვალე დასტურია. მადლობას ვუხდი კომპანია „წყალი მარგებელს“ გამოჩენილი ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის და ამხელა დახმარებისთვის, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვნად წაადგება ორივე სპორტული ღონისძიების ჩატარებას.

საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობს არა მხოლოდ ღონისძიების ჩატარებაზე, არამედ ცხრავე ფედერაციის დახმარებაზე, იქნება ეს ინფრასტრუქტურის მოწყობა თუ ოლიმპიადისთვის მომზადების ნაწილი. საორგანიზაციო კომიტეტის მხრიდან დაგეგმილია სპორტის ცხრავე სახეობაში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის დაფინანსება და სპონსორისგან შემოსული თანხები მოხმარდება სპორტის ამ ცხრავე სახეობის განვითარებას, – ამბობს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც ამავდროულად ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა.

**შეგახსენებთ, რომ საქართველომ 2013 წლის ოქტომბერში ქალაქ ტალინში გამართული ევროპის ასოციაციის კონგრესზე მოიპოვა უფლება, 2014 წლის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგა თბილისში ჩაეტარებინა, რომელიც 2014 წლის 21-22 ივნისს გაიმართება. ჩემპიონატში საქართველოსთან ერთად 15 ქვეყანა მონაწილეობს, თითოეულ გუნდს კი 50 სპორტსმენი და 13 მწვრთნელი წარმოადგენს.**

შორენა გოგოლაძე

# „ალიას“ ჟურნალისტს შსს-ზე რიცხული ავტომობილით დაესხნენ თავს?

28 იანვარს, გვიან სალამოს, ჩემს პირად მობილურზე გაისმა ზარი უცნობი ნომრიდან, საიდანაც გაიგეს, სად ვიმყოფებოდი. რამდენიმე წუთში ადგილობრივი გაზეთის „პო და არას“ (სადაც, აგრეთვე, ვმუშაობ) ოფისის შემოსასვლელთან გაჩერდა ავტომობილი, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, შსს-ს საკუთრებაშია და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი იყენებს. მორიგი ზარისას ჟურნალისტს გარეთ გასვლა სთხოვეს, ხოლო შემდეგ კატეგორიულად ითხოვდნენ მანქანაში ჩაჯდომას, სავარაუდოდ, საქმის გასარჩევად. ამ დროს რედაქციაში გამომცემელ-რედაქტორი ნონა გიგინეიშვილი და ჟურნალისტი ლაშა სარჯველაძეც იმყოფებოდნენ. ავტომობილიდან გადმოვიდნენ საფეხბურთო კლუბ „გურიის“ დირექტორატის წევრები: ედიშერ ჟორდანია, თემურ ალექსაია, გია ჩხაიძე და შპს „გურია-2000“-ის დირექტორი ნუგზარ ცინცაძე. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ჟორდანია პრეტენზიებს გამოთქვამდა, სავარაუდოდ, ჩემი ერთ-ერთი სტატიის გამო, თუმცა ვერ აკონკრეტებდა, რომელ წერილს გულისხმობდა. აქვე ვაზუსტებთ, რომ არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით, არც ერთ საგაზეთო სტატიაში ლიცენზირების მენეჯერი ედიშერ ჟორდანია არ ყოფილა ნაგულისხმები. ამასთანავე, ის რამდენიმე საათით ადრე შეხვდა ჟურნალისტს და არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. სავარაუდოდ, ჟორდანია გულისხმობდა იმ სტატიაში მოყვანილ ფაქტებს, რომელიც „ქრონიკაში“ ორშაბათს გამოქვეყნდა.

მას შემდეგ, რაც თანხმლებმა პირებმა ჟორდანიას შეჩერება სცადეს, მან დაიწყო უწმაწური სიტყვების გამოყენება, გინება და მუქარა. იყო გაწევ-გამოწევაც.

რამდენიმე წუთში ოთხივე პირმა ტერიტორია დატოვა. მომხდარის გამო გუშინვე ლანჩხუთის პოლიციამ მოკვლევა დაიწყო, ადგილზე მოვიდნენ გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე, მისი მოადგილე მერაბ ჭანუყვაძე, ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიგინეიშვილი, მოადგილე ზვიად აფხაზავა, გამგებელი ზაზა ურუშაძე, მისი მოადგილე ვახტანგ ზენაიშვილი და პოლიციის მაღალჩინოსნები. ყველა მათგანმა დაგმო ჟურნალისტზე თავდასხმა და განაცხადეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რომ ბოლო მოეღოს ლანჩხუთში ასეთ მივარდნებს და მით უმეტეს, მშვიდად მუშაობის საშუალება მიეცეთ ჟურნალისტებს.



გუბერნატორი და მოადგილე შემთხვევის ადგილზე

„ეს ფაქტი, თავისთავად, დასაგმობია. არავის აქვს უფლება, მოვიდეს ჟურნალისტთან და უსაყვედუროს საგაზეთო წერილის გამო, შეურაცხყოფაზე აღარაფერს ვამბობ. ყველაფერს აქვს ფორმა, არსებობს კანონი, რომლის ფარგლებს არ უნდა გასცდეს არავინ. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ისინი არ იყვნენ უბრალო მოქალაქეები, ისინი არიან ადამიანები, რომლებიც ბიუჯეტიდან იღებენ ხელფასს, მათი პასუხისმგებლობა გაცილებით მაღალია. აქედან გამომდინარე, ყველამ სრული სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი“. – აღნიშნა გუბერნატორმა.

ლანჩხუთის გამგებლის, ზაზა ურუშაძის თქმით, „ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. კანონის წინაშე ყველა ვალდებულია, აგოს პასუხი საკუთარ საქციელზე. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება – დამნაშავე უნდა დაისაჯოს“.

„მე და გამგებელი სამსახურში ვიყავით. როგორც კი გავიგეთ, მაშინვე წამოვედით. ადგილზე მოსულებს „დებოშიორები“ არ დაგვხვედრია. მიმაჩნია, რომ მსგავსი შემთხვევები გამოვლენისთანავე უნდა აღიკვეთოს. როგორც აქ მოსვლის შემდეგ გავარკვიე, აქ მოსული ადამიანები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სტატიის გამო, მაგრამ ვრჩები იმ აზრზე, რომ გამოხატვის თავისუფლება უნდა იყოს დაცული, რაც არ უნდა მიუღებელი აზრი იყოს ეს სხვისთვის. სწორედ ეს არის ცივილიზაცია, კულტურა და ნორმა“. – აცხადებს გამგებლის მოადგილე ვახტანგ ზენაიშვილი.

**მამუკა ქანთარია**
**„ალიასთვის“ ლანჩხუთიდან**

# „ბილაინის“ ოფისების რაოდენობა იზრდება

## კომპანიამ რიგით 25-ე ოფისი ახალციხეში გახსნა

ბილაინი®
გადმოდი ნათელ მხარეზე

**გარდა იმისა, რომ „ბილაინი“ აბონენტებს უმაღლესი დონის მომსახურებასა და ხელმისაწვდომ ტარიფებს სთავაზობს, თვალში საცემია კომპანიის სტრატეგია, რომელიც ქსელისა და მომხმარებელთა მომსახურების ოფისების გაფართოებას ითვალისწინებს — 27 იანვარს ყველაზე დინამიურად მზარდმა მობილურმა ოპერატორმა რიგით 25-ე ოფისი ახალციხეში გახსნა.**

**ახალი ოფისი ახალციხეში, კოსტავას ქუჩა №33-ში გაიხსნა, სადაც მომხმარებელს ყველა იმ მომსახურების მიღება შეეძლება, რასაც „ბილაინი“ თავის აბონენტებს სთავაზობს.**

*****

არც ისე დიდი ხნის წინ კომპანიაში აცხადებდნენ, რომ „ბილაინი“ საქართველოში წარმოდგენილი იქნებოდა ყველგან, სადაც ტურიზმია განვითარებული და სწორედ ამის დამადასტურებელია ახალციხის ახალი ოფისი.

ქვეყნის ტურისტული მიმართულებების განსაკუთრებით გააქტიურების პარალელურად, „ბილაინი“ ცდილობს, საუკეთესო ხარისხის დაფარვის ზონა და მომსახურება შესთავაზოს აბონენტებს, იქ, სადაც ტურისტული ნაკადი განსაკუთრებით გაიზარდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი ახალი ოფისის გახსნა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყნის ეკონომიკაში ახალი ინვესტიციების განხორციელებას ნიშნავს, რასაც, ბუნებრივია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

*****

რიგით 25-ე ოფისი კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ტყეშელაშვილმა გახსნა, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ რეგიონში პოზიციების განმტკიცებით, ნათელ მხარეზე გადასვლის სურვილი ბევრად მეტ ადამიანს გაუჩნდება.




– სამცხე-ჯავახეთის რეგიონი „ბილაინისთვის“ განსაკუთრებით საინტერესოა, როგორც ტურიზმის, ისევე ადგილობრივი მაცხოვრებლების მომსახურების კუთხით.



დღეიდან ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს ყველა ის მომსახურება და კონსულტაცია, რომელსაც „ბილაინი“ საკუთარ აბონენტებს სთავაზობს, – **განაცხადა კომპანიის კომერციულმა დირექტორმა ლაშა ტაბიძემ.**

– „ბილაინის“ ახალი ოფისი ახალციხეში, გარდა ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებისა, გულისხმობს დამატებით სამუშაო ადგილებსა და ინვესტიციას საქართველოს ეკონომიკაში.

იმედი გვაქვს, ჩვენი პოზიციების განმტკიცებით, უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდება სურვილი, გადმოვიდეს ნათელ მხარეზე, – **აცხადებს კომპანია „ბილაინის“ გენერალური დირექტორი გიორგი ტყეშელაშვილი.**

**მიხეილ სახვაძე**

## სადახლოში მოკლულ კალანდაძეს პატრულის მანქანა შეეჯახა?



2013 წელს სადახლოზე მომხდარი ტრაგიკული ინციდენტისას დაკავებული 6 პირის ადვოკატების ვარაუდით, ერთ-ერთ დაღუპულს საპატრულო პოლიციის ავტომანქანა დაეჯახა. საუბარია მერაბ კალანდაძეზე, რომელსაც ფუძის ძვლის მოტეხილობა აღენიშნებოდა. ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაჭრილ კალანდაძეს „პრადოს" მარკის ავტომანქანამ გადაუარა. ადვოკატების განცხადებით, ექსპერტიზამ აღნიშნული ავტომანქანის შეჯახება არ დაადასტურა, თუმცა გამოძიება უარს აცხადებს იმაზე, რომ ექსპერტიზა ჩაუტარდეს საპატრულო პოლიციის კუთვნილ იმ ავტომანქანას, რომლის საშუალებითაც პატრული დევნას ახორციელებდა.

„საპატრულო მანქანებს აქვთ ვიდეოკამერა და საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული კამერა 58 წამის განმავლობაში გამორთული იყო. ჩვენ მოვითხოვეთ ექსპერტიზა, თუმცა გამოძიებისგან კატეგორიული უარი მივიღეთ. სწორედ ეს გარემოება ბადებს ეჭვებს", – აცხადებენ ადვოკატები.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ინციდენტი გასული წლის 25 ნოემბერს მოხდა. დაიღუპნენ 21 წლის გიორგი ფირანიშვილი და მამამისის მეგობარი მერაბ კალანდაძე. შს სამინისტროს ცნობით, განზრახ მკვლელობის ბრალდებით 6 პირია დაკავებული. თავდამსხმელები ორი ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას შეეცადნენ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე წუთში ავტომაგისტრალზე დააკავეს. ამოღებულია „მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვისი პროვოცირებულია მანდატურების აქცია ?



არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, რომ წინა ხელისუფლების დროს მანდატურის ინსტიტუტი იყო ის ძირითადი ბერკეტი, რითაც ხელისუფლება რკინის ხელით მართავდა სკოლებს. ამაში მანდატური შეუდარებელი და უბადლო გახლდათ. დასაწყისში თუ მას ევალებოდა სკოლაში უსაფრთხოების დაცვა, მალე ეს სამსახური გადაიქცა ჯაშუშ და დამსმენ სამსახურად, რომელიც უკვე აკონტროლებდა და ატერორებდა არა მარტო მოსწავლეს, არამედ მასწავლებელს, დირექტორებს და მშობელსაც კი.

**29 იანვარს კი მანდატურებმა საერთო გაფიცვა მოაწყვეს. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი სამსახური უქმდება, რაც შემდგომში განათლების სამინისტრომ არ დაადასტურა. ვინ გაავრცელა ხმა მანდატურების ვითომდა დათხოვნაზე? რა მოხდა სინამდვილეში?**

**„ალიას" ესაუბრება განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი:**

– ჯერ კიდევ ზაფხულში „ზოგადი განათლების" კანონში შევიდა ცვლილება, რომ 2014 წლის 1-ლი იანვრიდან სკოლის დირექტორებს უნდა აეყვანათ მანდატურები ხელშეკრულების მიხედვით და მათზე ხელფასს უკვე სკოლები გასცემდა. მოგეხსენებათ, მანდატურებს საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვთ, უფრო მაღალი, ვიდრე დირექტორებსა და მასწავლებლებს და ამ 500 ლარს სამინისტრო დაურიცხავდა თითოეულ სკოლას თავის ანგარიშზე, ხოლო დირექტორი ამ თანხას მანდატურზე გასცემდა და უცებ, 29 იანვარს ასეთი რა ხდება. ჩემი ღრმა რწმენით, ამ დღეს განვითარებულ ამბებში „ნაციონალების" ხელი ურევია და ეს აშკარად მოწყობილი პროვოკაციაა. როცა გეუბნებიან ხელშეკრულებით აგიყვან, ფულს გადაგიხდი, ხელფასი გექნება და ამ დროს მანდატურები მასიურად ტოვებენ სამსახურს და გარბიან აქციაზე, რა ჰქვია ამას სახელად?

**— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ვინმე დაითხოვეს სამსახურიდან?**

– როგორ გეკადრებათ, მე არაერთი დირექტორი ვნახე, ზოგიერთი შემთხვევითი და ზოგიერთი მიზანმიმართულად და აღმოჩნდა, რომ არც ერთ დირექტორს არ უთქვამს, მანდატურებს ვათავისუფლებო. ანდა, დირექტორი როგორ გაათავისუფლებდა მანდატურს, როცა განათლების კანონის თანახმად ისინი ვალდებულები არიან, რომ ხელშეკრულება დაედო მანდატურებთან?

**— აბა, ვინ გაავრცელა ეს ჭორი?**

– კონკრეტულად ვინ გაავრცელა, არ ვიცი, თქვენ გინდათ ჭორი უწოდეთ, გინდათ გამიზნული პროვოკაცია, მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ზოგიერთი დირექტორი ჩვენს დათხოვნას აპირებდა, იმიტომ რომ საჭიროებას ვერ ხედავენ მანდატურის სკოლაში ყოფნისო. სხვათა შორის, მეც ვესაუბრე ასეთ დირექტორებს და ასეთი ძალიან ცოტაა, რომლებიც თავის თავზე იღებდნენ პასუხისმგებლობას და თვითონ დაიცავდნენ ბავშვების უსაფრთხოებას სკოლის ძალებით და იმ ფულით, რასაც სამინისტრო მანდატურებისთვის აძლევთ, და ეს წლიურად 20 ათასი ლარი გამოდის, მათი თქმით, ავიყვანდით დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში, ავიყვანდით ფსიქოლოგს და ერთ ექიმსო. არ ვიცი, შეიძლება ასეთი განცხადებები მივიდა ამ მანდატურების ყურამდე.

**— ანუ გამოდის, რომ თუ დირექტორს გადაეცემოდა სადავეები ხელში, ზოგიერთი მანდატურს არ აიყვანდა?**

– ასე გამოდის, მაგრამ, თუკი სამინისტრო აცხადებს, რომ კანონი ყველასთვის სავალდებულოა, მაშინ ეს გამორიცხულია. მაგრამ მე თქვენ გეტყვით, რაც „ნაციონალებს" აწუხებთ და რატომ აბუნტებენ ამ ხალხს. მათ აწუხებთ ის, რომ ამ მანდატურებს ეკისრებოდათ ჯაშუშური ფუნქცია. გაგახსენებთ, რომ წინა მინისტრები იყვნენ იურისტები და არა პედაგოგები. ამ დროს სკოლა არის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო სისტემა, რომელიც ემყარება ორივე მეცნიერებას, ეს არის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია. არ შეიძლება ეს საქმე ჩააბარო ხელკეტიან ქალს ან კაცს, არ შეიძლება მანდატური იყოს დირექტორის და მასწავლებლის უფროსი და როდესაც წინა ხელისუფლების დროს მას ჰქონდა დამსმენისა და ჯაშუშის ფუნქცია, ეს ფუნქცია ახალ მანდატურს არ ექნება. ეს არის ამ სამსახურის გაკეთილშობილება, რაც სამინისტროს მიერ არის დაგეგმილი, რის მიხედვითაც, მანდატურს დაევალება ბავშვის ფსიქოლოგიური დახმარება და ეს ამ ხალხს არ აწყობს, იგივე ყოფილ მმართველ პარტიას. ჯაშუშური ხელით ავტორიტეტის შელახვის ხარჯზე აღარაფერი მოხდება და აი, ამას ვერ ეგუებიან „ნაციონალები", ეგენი ხომ პოლიციურ და სადამსჯელო სახელმწიფოს აშენებდნენ და ააშენეს კიდეც. ახლა ხდება ამ ყველაფრის დემონტაჟი, ნგრევა და ეს არ უნდათ ამათ, ამიტომ ეშინიათ ამ ცვლილების. მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია: მითხრეს, რომ 300-მდე მანდატურია გადამზადებული ფსიქოლოგად, მაგრამ აქ ის უნდა გავთვალისწინოთ, რომ მანდატურები იყვნენ საშუალო სკოლადამთავრებულები და მაინტერესებს, როგორ უნდა გადამზადდნენ ისინი ფსიქოლოგებად, რადგან ფსიქოლოგია არის ურთულესი მეცნიერება? როგორ უნდა ჩააბარო მათ ახალი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბება? როგორ უნდა დაიცვან მათ ბავშვთა უფლებები?

**— ვთქვათ, უმაღლესი აქვს დამთავრებული, მაშინ?**

– კი მაგრამ, ამ კუთხით მათ უმაღლესი არა აქვთ დამთავრებული. იქ სხვადასხვა პროფესიის ხალხია და ძირითადად, არაპედაგოგიური განათლების. როგორ იქცევიან ისინი ფსიქოლოგებად, არ არის ეს წყალში გადაყრილი ფული? ამიტომ, ჩემი აზრით, ეს მანდატურები ყველა უნდა გაათავისუფლონ, მათ ადგილას კი უნდა დაინიშნონ პედაგოგები და ფსიქოლოგები. 29 იანვარს ისმოდა მანდატურების აღშფოთებული ხმები, ჩვენ ბანკიდან გვაქვს სესხები აღებულიო. კიდევ ვიმეორებ, არავინ ათავისუფლებს მაგათ, მაგრამ მათ 500 ლარი აქვთ დანიშნული, ამ დროს მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს და იღებს კაპიკებს. ესენი კი დადიან დერეფანში, მათ უნდა ჰქონდეთ პედაგოგზე ორჯერ და სამჯერ მაღალი ხელფასი?

**— ჯერჯერობით, სამინისტრომ დააშოშმინა ეს ხალხი.**

– რატომ მოაწყეს ეს აქცია, ვერ გავიგე. იმიტომ, რომ ვიმეორებ, მათი კომპეტენციები დღეს არ არის საკმარისი დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით. ესაა და ეს.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მერაბიშვილის სიტყვები ჩვენი ჩახოცვის ბრძანებაა"



ე.წ. მუხროვანის ამბოხში ბრალდებული და ამნისტირებული კობა ოთანაძე არ გამორიცხავს, რომ ვიდეოკადრები დადგმული სცენარის ნაწილი ყოფილიყო, რომელიც ხელისუფლებამ მუხროვანის ამბოხის ბრალდების გამყარებისთვის გაითამაშა.

„არ არის გამორიცხული, რომ ეს დადგმული ყოფილიყო იმისთვის, რომ ამბოხის ბრალდება გამყარებულიყო. რა თქმა უნდა, სურდათ ხალხის ლიკვიდაცია და გააკეთეს კიდეც. მეც, ფაქტობრივად, მკვდარი ვეგონე, მორგში ვიყავი და შემთხვევით გადავრჩი. ჩანაწერი, ალბათ, მაისშია გაკეთებული, ე.წ. ამბოხის დროს ან ჩვენი აყვანის სპეცოპერაციის დროს. ჩვენ რომ ჩაგვცხრილეს, მაშინ გვიღებდნენ და ალბათ, მათივე გადამღებებმა გაავრცელეს ეს კადრები. მერაბიშვილის სიტყვებით, სამართლებრივად ის მტკიცდება, რომ ჩვენი დახოცვის განკარგულება გასცეს, მათი ხელიდან ვართ, ფაქტობრივად, მოკლულები, 100 კაცზე მეტი ჰყავთ ქუჩაში ჩახოცილი და იგივე განკარგულებას გასცემდნენ, ალბათ", – განაცხადა კობა ოთანაძემ. (ფრონტნიუსი)

## მარგველაშვილი თავისი „მოკრძალებული როლის" მიზეზს განმარტავს

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მისი გარკვეულწილად მოკრძალებული როლი ამ სამი თვის განმავლობაში, იმით იყო განპირობებული, რომ მთავრობას ჰიპერაქტიურობით არ დაეზიანებინა ახალი სისტემა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს.

„ეს ჩემთვის ნათელი იყო, რომ როდესაც ახალი პრეზიდენტი ახალი კონსტიტუციის ფარგლებში მოვიდოდა, ასეთი წინა გამოცდილება რომც არ ყოფილიყო, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ სააკაშვილის სახით, მაინც ახალი კონსტიტუცია და ახალი რეალობა გარკვეულ კორექტირებას მოახდენდა და ეს კორექტირება საზოგადოებრივი აზრისთვის ხშირად იოლი აღსაქმელი არ არის", – განაცხადა პრეზიდენტმა.

„იმ ქვეყანაში, სადაც ახალი რეალობა შემოვიდა, ჯერ კიდევ ზღვარი და ტრადიციები დასადგენია. ურთიერთობის ფორმები მოსათელია, ბუნებრივია, ეს პროცესი მიმდინარეობს და ყველანი ამ პროცესის ნაწილი ვართ. გარკვეულწილად ჩემი კიდევ უფრო მოკრძალებული როლი ამ სამი თვის განმავლობაში, იყო განპირობებული იმით, რომ ჩვენ ჰიპერაქტიურობით არ დაგვეზიანებინა ახალი სისტემა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს", – განაცხადა პრეზიდენტმა. (ფრონტნიუსი)

## თენგიზ გუნავა დაკითხვაზე დაიბარეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი თენგიზ გუნავა მის დაკითხვაზე დაბარებას პოლიტიკური ანგარიშსწორების გაგრძელებას უკავშირებს და აცხადებს, რომ უწყების ჩაბარებას არ გეგმავს და არც პროკურატურაში გამოცხადდება.

„რამდენი ნარკოტიკის გამყიდველი და ყაჩაღი დამიკავებია, ყველამ რაღაც რომ თქვას, მაშინ პროკურატურაში უნდა გამომიყონ ერთი ოთახი და იქ ვიქნები. წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდოდათ, უწყება არ ჩამიბარებია და არც ვაპირებ. ჯერ შეისწავლონ ის პირები, ვინც მათ გაურკვეველ ინფორმაციას აწვდის. ეს წმინდა პოლიტიკური ანგარიშსწორების მაგალითია. თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციამ გაიჟღერა და ვფიქრობ, რომ ეს შემთხვევაც ამას უკავშირდება. ვინ არის ქოიავა, პროკურატურამ ძალიან კარგად იცის. ის პოლიციაში მუშაობის დროს ამოღებულ ნარკოტიკს ითვისებდა. შემდეგ სამსახურიდან გაათავისუფლეს, მოგვიანებით კი დააკავეს. მითხრეს, თითქოს გურამ შარაძის საქმესთან დაკავშირებითაც მახსენა. სულ გაგიჟდნენ! ალბათ, ასაკი არ მიწყობს ხელს, თორემ კენედის მკვლელობასაც დამაბრალებდნენ", – განაცხადა გუნავამ. (ფრონტნიუსი)

## შსს-ს დელეგაცია აზერბაიჯანელ მინისტრს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, შს მინისტრის მოადგილე ვახტანგ გომელაურის ხელმძღვანელობით, ბაქოში ოფიციალურ ვიზიტს განაგრძობს. ვიზიტის მეორე დღეს დელეგაციის წევრებმა შეხვედრა გამართეს აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების მინისტრთან, გენერალ-პოლკოვნიკ ქემალედინ გეიდაროვთან.

ვიზიტის ფარგლებში, ქართული დელეგაცია ასევე ეწვია აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს აკადემიას, სადაც მეხანძრე-მაშველების სწავლების პროცესს, სასწავლო გეგმებსა და სასწავლო-მატერიალურ ბაზას გაეცნო. აზერბაიჯანელმა და ქართველმა კოლეგებმა იმედი გამოთქვეს, რომ ორი სახელმწიფოს სტრატეგიული ურთიერთობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება და სახანძრო-სამაშველო სამსახურები კიდევ უფრო გააღრმავებენ ურთიერთთანამშრომლობას. (ინტერპრესნიუსი)

## გიგი უგულავა ევროპაში ვიზიტს განაგრძობს



გიგი უგულავა ევროპაში ვიზიტს განაგრძობს. მან მონაწილეობა მიიღო ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკური ასამბლეის შეხვედრაში. თავის სიტყვაში გიგი უგულავამ ყურადღება გაამახვილა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებსა და ქვეყნის შიგნით არსებულ გამოწვევებზე, რაც, მისი თქმით, საფრთხეს უქმნის დემოკრატიის განვითარებას და აფერხებს ინტეგრაციის პროცესს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რატომ „მიუვარდნენ“ მერიის წარმომადგენლებს მოქალაქეები?



29 იანვარს სასტუმრო „რედისონში“ მერიის მიერ მოწყობილ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისას შეკამათება მოხდა. განხილვის პროცესს ესწრებოდნენ საკრებულოს დეპუტატ გულიკო ზუმბაძის მიერ მოწვეული თბილისში კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული მოქალაქეები. მათი ინფორმაციით, 2004 წელს თბილისის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო თანხები ოთხი კორპუსის დასასრულებლად, გამოცხადებული იყო ტენდერები, თუმცა გიგი უგულავას



გამერების შემდეგ, ეს თანხები თბილისის ბიუჯეტიდან გაქრა. საპასუხოდ თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი აბესაძემ განაცხადა, რომ თბილისის მერია ელოდება სახელმწიფოს საშინაო ვალის შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებას, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს კომისია, მერია იმას შეასრულებსო.

**„ალია“ საკრებულოს დეპუტატს გულიკო ზუმბაძეს დაუკავშირდა:**

**— ქალბატონო გულიკო, რა შედეგით დასრულდა შეხვედრა?**

– შეხვედრა რომ საჯარო იყო, ეს იდო საკრებულოს საიტზე. ჩვენც გავახმაურეთ ამის შესახებ, რადგან ჩემი ინიციატივა იყო, რომ მომხდარიყო თბილისის ბიუჯეტის საჯარო განხილვები, რასაც ითვალისწინებს დემოკრატია და საბიუჯეტო პროექტი. მერიამ ამ შემთხვევაში გადადგა ადეკვატური ნაბიჯი, მოიწვია ბინათმესაკუთრეები. ისინი იყვნენ დაინტერესებული მხარე და ამიტომაც შევთავაზეთ მათ, განხილვაში მონაწილეობა. ეს იყო ღია და საჯარო, სპეციალურად არავინ მოგვიწვევია. ეს შეხვედრა უნდა შემდგარიყო ყველა დაინტერესებულ პირთან, ეს არის ჯანსაღი, სწორი და ამიტომაც მოიტანა გარკვეული შედეგი.

**— გაიჟღერა ინფორმაციამ, გულიკო ზუმბაძემ მიუსია ეს ხალხი მერიასო.**

– არაკორექტულია ამ ხალხზე საუბარი „ნაციონალების“ მხრიდან. ეს ხალხი არის შეწუხებული 20 წელია. ყველა არჩევნების წინ ახსენდებოდათ ხოლმე და ჰპირდებოდნენ, რომ პრობლემას მოაგვარებდნენ, არავინ არაფერი გაუკეთა და ყელში ამოუვიდათ. ამ ხალხმა წარმომიდგინა დოკუმენტები, რომ 2005 წელს დაგეგმილი იყო გარკვეული კორპუსების დამთავრება მერიის მიერ და გამოყოფილი იყო თანხა, მერე ეს თანხა „აორთქლდა“ სადღაც და ხალხი დარჩა დაუკმაყოფილებელი. მერია ცენტრალური ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს. რახან არსებობს მნიშვნელოვანი საბინაო პრობლემა, პრიორიტეტია ეს პრობლემა მთელ საქართველოში შესაბამისი პოლიტიკა უნდა იქნას შემუშავებული. ზღვა ხალხი მოვიდა იქ და მოითხოვდნენ პასუხებს. რატომ უნდა გაურბოდეს მერია კითხვებს, არ იცის, რომ აღელვებული ხალხი მივა და ხმამაღლა გამოთქვამს პროტესტს? საზოგადოებას სულ გაურბოდნენ და კითხვებს არ პასუხობდა „ნაციონალური“ მოძრაობა, თორემ აქამდე საქმე არ მივიდოდა. რომელ ბინებსაც სჭირდება ერთი ან ორი სართული დასამთავრებლად, უკვე მერიამ თქვა, ვიფიქრებო. ვთვლი, რომ გარკვეული შედეგი სახეზეა. მერიამ ამაზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

ჩემი ნაბიჯი მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს საჯარო განხილვები ამ ბიუჯეტის, არ შეიძლება ნაწილ-ნაწილ იყოს დემოკრატია. უნდა მივიდეთ იმ კონდიციამდე, რომ საკრებულომ უკარნახოს თავისი მოთხოვნები მერიას და მანაც გაითვალისწინოს. უნდა მივიღოთ ხარჯების გამჭვირვალობა და საზოგადოებამ ის უნდა აკონტროლოს. არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცებს ჰქონდეთ მოსაზრება, რომ ბიუჯეტის ჩაგდება სჯობია და მუნიციპალიტეტები გავწიროთ ჩვენს თავთან ერთად, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს იქნება ცუდი და ჩვენ ოპონირების რეჟიმში, მონიტორინგით, განხილვებით უნდა მივიდეთ არჩევნებამდე და ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ, რომ ბიუჯეტი არც „ნაციონალური მოძრაობისაა“ და არც „ქართული ოცნების“.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## აქციის მონაწილეებმა ჯვარი-მესტიის ავტომაგისტრალი გახსნეს

ხაიშის მცხოვრებლებმა ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი ცენტრალური ავტომაგისტრალი გახსნეს. ხაიშის მკვიდრის, ოლეგ ჭკადუას განცხადებით, შესაბამისი გადაწყვეტილება მათ დეპუტატად ვიქტორ ჯაფარიძესთან საუბრის შემდეგ მიიღეს.

„ტელეფონით ვესაუბრეთ ვიქტორ ჯაფარიძეს, რომელიც დაგვპირდა, რომ სამ დღეში ჩამოვა და დაგველაპარაკება. მისივე თხოვნით, ავტომაგისტრალიდან ავიღეთ ლოდები, რადგან დეპუტატი დაგვპირდა, რომ სანამ ის ჩამოვიდოდა არანაირი აზომვითი სამუშაოები არ ჩატარდება. დაველოდოთ, რას გვეტყვის ვიქტორ ჯაფარიძე და შემდგომ ნაბიჯებს დავგეგმავთ“, – აღნიშნა ჭკადუამ.

მისივე თქმით, კომპანია „ტრანს ელექტრო ჯორჯიამ“, მოსახლეობის პროტესტიდან გამომდინარე, აზომვითი სამუშაოები ვერ ჩაატარა. „ჩვენ ამის უფლებას არავის მივცემთ. თუ კიდევ მოინდომებენ, ისევ მივმართავთ შესაბამის პროტესტის ფორმას“, – აღნიშნა ოლეგ ჭკადუამ. (ინტერპრესნიუსი)

## საგამოძიებოს შეიარაღებაში 10 დასახელების იარაღი და საბრძოლო მასალა შედის

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შეიარაღებაში 10 დასახელების ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა შედის, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა. დადგენილების თანახმად, საგამოძიებო სამსახურის შეიარაღებაშია პისტოლეტი, რევოლვერი; პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი; ხელის ტყვიამფრქვევი; ტყვიამფრქვევი; შაშხანა; სნაიპერული შაშხანა; ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნი; ყუმბარმტყორცნი, ასევე, ხელყუმბარა და ჩამოთვლილი ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა. დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და 27 იანვრით თარიღდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვარდების მოედანი“ მთაწმინდის პარკს საბაგიროთი დაუკავშირდება



თბილისის მერის მოადგილის პაპუნა პეტრიაშვილის განცხადებით, მაისის ბოლოდან „ვარდების მოედანი“ მთაწმინდის პარკს პირდაპირ საბაგიროთი დაუკავშირდება. ამ მიზნით გათვალისწინებულია 3 მილიონი ლარი. თანამედროვე საბაგიროს მოსაწყობად სამუშაოები უკვე დაწყებულია. ეს პროექტი „მთაწმინდის პარკთან“ ერთად განხორციელდება, ხოლო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს „მთაწმინდის პარკი“ შემდეგ აანაზღაურებს.

მისივე განცხადებით, ტექნიკური პირობების გამო რუსთაველზე არსებული ძველი სადგური აღარ იფუნქციონირებს, ახალი სადგური მოეწყობა „ვარდების მოედანზე“. ახალი საბაგირო იქნება იმ ტიპის, როგორიც რიყის ტერიტორიაზეა მოწყობილი.

ახალი საბაგიროს მშენებლობა, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში დასრულდება. მერია წელს სამგორი-ვაზისუბნის საბაგიროს აღდგენასაც გეგმავს. (ინტერპრესნიუსი)

## ომბუდსმენმა მთავარ პროკურატურას მიმართა




საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, მათ განიხილეს თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების განცხადებები, რომელთა მიხედვითაც 2013 წლის 27 ივნისს, დილის საათებში თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები დააკავეს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პიროვნებებმა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩასვეს ავტომობილებში და მიიყვანეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შენობაში.

„წინამდებარე განცხადებებიდან ასევე ირკვევა, რომ დაკავებისას ზემოხსენებულ პირებს არ მიეცათ კანონმდებლობით გარანტირებული საპროცესო უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. მათი მტკიცებით, თავდაპირველად ისინი დაკავებულები იქნენ ბრალდებულის სტატუსით, ხელბორკილების გამოყენებით. თუმცა, მოგვიანებით, ხელმძღვანელების მითითების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დახიეს მათი დაკავების ოქმები, ფორმალურად შეადგინეს მოწმის სახით აღნიშნული პირების დაკითხვის ოქმები და გაათავისუფლეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი ადგენს გამოძიების დაწყების მოვალეობას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, დაიწყონ გამოძიება“. ამავე კოდექსის 101-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით კი დაკონკრეტებულია, რომ გამოძიების დაწყების საფუძველია ნებისმიერი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. ამასთანავე, მნიშვნელობა არ აქვს, ინფორმაცია დაფიქსირებული იქნება წერილობითი, ზეპირი თუ სხვა სახით“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## თურქეთში ტრანზიტული გადაადგილება გადამზიდავებისთვის ფასიანი ხდება

1-ლი თებერვლიდან თურქეთში ტრანზიტული გადაადგილება ქართველი გადამზიდავებისთვის ფასიანი ხდება.

„თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ნოტის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2014 წლის 1-ლი თებერვლიდან თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, საზღვაო და კავშირგაბმულობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, დაწესდა გადასახადი 113 აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტი თურქული ლირის ოდენობით, როგორც საპასუხო ზომა, მესამე ქვეყანაში სატრანზიტო გადაზიდვების განმახორციელებელი (ცარიელი-დატვირთული) ქართული სანომრენიშნიანი სატრანსპორტო საშუალებებისთვის „ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის“ ნებართვით ქვეყანაში შესვლისა და გამოსვლის დროს ცალ-ცალკე“, – ნათქვამია სახმელეთო სატრანსპორტო სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## არჩევნები ბიომეტრული სიით ვერ ჩატარდება

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ვეფხვაძის განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ბიომეტრული საარჩევნო სიით აღარ ჩატარდება.

„ბიომეტრულ სიაზე მუშაობა ოქტომბერში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ არ დაიწყო. ამასთან დაკავშირებით საჭირო თანხები არც ბიუჯეტშია გაწერილი. ხელისუფლებამ უარი თქვა ბიომეტრულ სიაზე. ინტერფრაქციულ ჯგუფში არაფორმალურად დაადასტურეს, რომ ბიომეტრული სიით არჩევნები, სავარაუდოდ, ვერ ჩატარდება“, – განაცხადა ვეფხვაძემ.

ცნობისთვის, გასული წლის ზაფხულში საარჩევნო კანონმდებლობაში ჩაიდო სპეციალური მუხლი, რომელიც 2014 წლის არჩევნების ბიომეტრული სიით ჩატარებას ითვალისწინებს. საარჩევნო კანონმდებლობაში გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები და მექანიზმები, რაც ამ მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო. (ინტერპრესნიუსი)



# ღარიბაშვილმა ისრაელი კეზერაშვილის გადმოცემაზე დაითანხმა?

**30 იანვარს კეზერაშვილის დანაშაულებთან დაკავშირებით, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე პრესკონფერენციას მართავს:**

**„ალია“ დაინტერესდა, კონკრეტულად რა საქმეებზე იქნება საუბარი და ამის გასარკვევად, ნიკოლოზ მჟავანაძეს დაუკავშირდა:**

– ჩვენ მთავარ პროკურატურაში შეგვაქვს საჩივარი, რათა იმ საქმეს, რომელზეც დღეს მიდის გამოძიება კეზერაშვილის მიმართ, დაემატოს, აგრეთვე, შემდეგი კომპანიების: „სენტას“, „მაგნატის“, „გალფისა“ და „ელიტ ელექტრონიქსის“ გახმაურებული საქმეების გამოძიების ნიუანსები, რადგანაც ამ წილის გირავნობას. კომპანია ვერ იხდიდა თანხას, ამის შემდეგ კი ხდებოდა კომპანიის ხელოვნური დაყადაღება, რის გამოც გაკოტრებულ კომპანიაში შედიოდნენ ბანკის მმართველები და მფლობელი კომპანიას კარგავდა. ასეთი სქემები განხორციელდა, ფაქტობრივად, იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც ჩამოვთვალეთ. განსაკუთრებულია ამ შემთხვევაში „ელიტის“ საქმე. შევისწავლეთ „ელიტ ელექტრონიქსის“ მიმართ 2012 წლის აგვისტოში განხორციელებული ტერორი და დავდეთ დასკვნა, სადაც გაშიფრულია, როგორ წაართვეს ანზორ ქოქოლაძეს თავისი კომპანია, სადაც ძალიან აშკარად იშიფრება დავით ნიშნები არსებობს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ისრაელში საქმიანი ვიზიტით მყოფმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა იქ, სხვა საკითხებთან ერთად, კეზერაშვილის საკითხიც გააჟღერა, რადგანაც კეზერაშვილია ისრაელის მოქალაქე, მის მიმართ ინტერესია საკმაოდ მაღალი და აქედან გამომდინარე, ეს საუბარიც გამართლებულია.

**— კონკრეტულად იცით, რაზე იყო იქ საქმიან წრეებში საუბარი?**

– მე იმის თქმა არ მინდა, რომ თემა მხოლოდ კეზერაშვილი საქმეებში აშკარად იკვეთება კეზერაშვილის როლი. ცნობილია, რომ სწორედ დავით კეზერაშვილი იყო შემოსავლების სამსახურში ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი, როცა დაიწყო ბიზნესებზე ზეწოლა და ბიზნესების აქტიური გადანაწილების პოლიტიკა დატერორების გზით, რასაც წარმატებით ახორციელებდა ფინანსური პოლიცია. ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ მოკლედ შეგახსენებთ სქემას.

სქემა იყო უმარტივესი – დაინტერესებულ კომპანიაში, რომელიც „ნაციონალებს“ სურდათ, ხელში ჩაეგდოთ, შედიოდა ფინანსური პოლიცია, უკანონოდ და უსაფუძვლოდ ახდენდა კომპანიაზე არარეალური თანხის დარიცხვას. კომპანიები ვერ იხდიდნენ თანხას და ამისთვის მიმართავდნენ ბანკს, საიდანაც იღებდნენ გარანტიას, რისთვისაც ბანკი ითხოვდა კეზერაშვილის როლი. დღეს, სხვათა შორის, როდესაც თამარ ჩერგოლეიშვილი ასე იბრძვის სიტყვის თავისუფლებისთვის, მანვე გაახმოვანა, რომ თურმე დღემდე კეზერაშვილი აფინანსებს მის ტელეკომპანია „ტაბულას“. გაშიფვრა იმიტომ მოხდა, რომ უკვე იყო საუბარი ამის შესახებ და სანამ ვინმე იტყოდა, ჩერგოლეიშვილმა უკვე აღიარა. ცოტა არ იყოს, უხერხულია ამ კომპანიიდან სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკი და დემოკრატიის ხარისხზე საუბარი, როცა ის პიროვნება, რომელიც სხვადასხვა დანაშაულებშია მხილებული და საქართველოს წამყვანი კომპანიების გაკოტრებაშია ასევე მხილებული, აფინანსებს ჩერგოლეიშვილს. მართალია, კეზერაშვილი სასამართლოს მიერ არ არის ჯერ კიდევ დამნაშავედ ცნობილი, მაგრამ ამას რომ წინ ვერავინ დაუდგება, ამის იყო, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი თემა რომ ეს იყო, ეს ჩვენთვის ცნობილია, რადგანაც ის თანხები, რომელიც საქართველოს ბიუჯეტსა და ქართველ ბიზნესმენებს წაართვეს, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სწორედ ამ პიროვნებას უკავშირდება. ამიტომ დღეს კეზერაშვილის გადმოცემის ხელის შეშლა არ უნდა მოხდეს არც ერთი ქვეყნის მხრიდან, ამ დროს, ვიმეორებ, ის ისრაელის მოქალაქეა, ხოლო ისრაელი ძალიან უფრთხილდება თითოეულ თავის მოქალაქეს. მახსოვს, ერთი მოქალაქის გამო ისრაელმა ლამის ომი დაიწყო, ისრაელს საკმაოდ დიდი წონა აქვს მსოფლიოში და ყველა ანგარიშს უწევს. ამიტომ იყო შესაძლებელი, შექმნილიყო ამ მხრივ პრობლემები, მას შეეძლო მოეთხოვა, რომ კეზერაშვილი სწორედ ისრაელში გასამართლებულიყო, მაგრამ კეზერაშვილი უნდა გადმოგვეცეს ჩვენ, საქართველოს, რადგანაც მას საკმაოდ ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, ყოველ შემთხვევაში დანაშაულის ნიშნები ნამდვილად არსებობს. ასევე, ჩვენ არა გვაქვს სრული სურათი, კიდევ რა ბიზნესები აქვს მას დატერორებული. „ალიას“ საშუალებით გაჟღერდა იარაღის უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებული ფაქტებიც და ამიტომ საქართველო ნამდვილად არის დაინტერესებული ამ პიროვნების გადმოეცემით.

**— რაზე შეთანხმდნენ ისრაელში, იცით?**

– რადგანაც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ ის ძალიან კმაყოფილია ამ ვიზიტით, ეტყობა, ამ მხრივაც დადებითი რეზულტატი იქნა მიღწეული და ეტყობა, ისრაელის მხარე არ შეეცდება პრობლემების შექმნას კეზერაშვილის გადმოცემასთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, მას მალე ვიხილავთ საქართველოში და ამით ჩვენ არა მარტო ჩემ მიერ ზემოჩამოთვლილი კომპანიების მიმართ აღვადგენთ სამართლიანობას, არამედ საუბარია კიდევ სხვადასხვა საქმეებზეც. ჩვენ თხოვნით მივმართავთ მთავარ პროკურატურას, რომ ამ კომპანიების საქმეებიც იყოს განხილული ამ კუთხით. პროკურატურაში დაიძრა უკვე გარკვეული საქმეები, რაც ძალიან აფრთხობს ზოგიერთ მედიასაშუალებას, რადგანაც კეზერაშვილის გასამართლების შემთხვევაში, მათ დაფინანსება შეუწყდებათ. ჩემი აზრით, საკმაოდ ბევრი საქმე უნდა გაიხსნას და ამიტომ საჭიროა, ვიმეორებ, ამ ადამიანის საქართველოში სასწრაფო ჩამოყვანა.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოჯახში ძალადობის შესახებ იმსჯელეს

პროექტის – „პოლიციელთა შესაძლებლობების ზრდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში“ ფარგლებში, სამეთვალყურეო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. პროექტი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს, ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებების აკადემიასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2012 წლიდან ხორციელდება. მისი მიზანია შს სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობა, პროექტის ფარგლებში გამართული კონფერენციების, ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების შედეგები და სამომავლო გეგმები.

(ინტერპრესნიუსი)

## საია საგანგებო განცხადებას ავრცელებს



მათი განმარტებით, ბოლო პერიოდში საია-ს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ რამდენიმე მოქალაქემ მომართა.

მოქალაქე გ.ხ. 2013 წლის 24 სექტემბერს ღამის საათებში ძვ. თბილისის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. მისი თქმით, სხვა მოქალაქეების მსგავსად, პოლიციის თანამშრომლებმა დაკავების დროს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გ.ხ.-ს სხეულზე არსებულ ფიზიკური ძალადობის კვალს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი შეყვანისას ექიმის მიერ დაფიქსირებული დაზიანებები ადასტურებს.

მოქალაქე დავით ჩაჩუას განცხადების მიხედვით, ის 2014 წლის 19 იანვარს პოლიციის თანამშრომლებმა გამთენიისას დააკავეს და ვაკე-საბურთალოს პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში გადაიყვანეს (ტელევიზიის გვერდით). როგორც ჩაჩუა ამბობს, მას თავდაპირველად ფიზიკურად გაუსწორდნენ და ამის შემდეგ გაათავისუფლეს.

პოლიციელთა მხრიდან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე საუბრობს მოქალაქე გიორგი ჯიქურაშვილი. ის მიუთითებს, რომ ძალადობის შედეგად აიძულეს, ეღიარებინა არჩადენილი დანაშაული. გარდა პოლიციელებისა, გ. ჯიქურაშვილის ახსნა-განმარტებაში ასევე აღნიშნულია ერთ-ერთი პროკურორის მხრიდან დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედება.

საია-ს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მოქალაქე შიო კობიძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მისი თქმით, 2013 წლის 27 ოქტომბერს, ღამის 00:02 საათზე, „ვარდების მოედანზე“, ძველი თბილისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და სამმართველოში გადაიყვანეს. კობიძის განცხადებით, პოლიციაში ის აწამეს, 4-5 ადამიანი დაუზოგავად სცემდა, ჭრილობაში ავტოკალამს აჭერდა, აგინებდა, „ცოცხების“ გამოყენებით აშინებდა და დაინვალიდებას ჰპირდებოდა. სხეულზე არსებულ ფიზიკური ძალადობის კვალს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს. შ. კობიძის ინფორმაციით, წამების ფაქტის უშუალო მოწმეა მისი მეგობარი, რომელიც მასთან ერთად დააკავეს. კობიძე მიუთითებს, რომ ადვოკატთან ერთად ბოლო სამი თვის განმავლობაში ითხოვს გამოძიების დაწყებას, თუმცა უშედეგოდ.

ამ განცხადებას შს მინისტრის მოადგილე, ლევან იზორია გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ყველა სამართალდარღვევაზე რეაგირება დაუყოვნებლივ ხდება. აქედან გამომდინარე, იზორია მოუწოდებს ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, მათ შორის კერძო პირსაც, წინასწარი განცხადებების გაკეთებისგან და სისტემის დადანაშაულებისგან თავი შეიკავონ. (ინტერპრესნიუსი)




# ექსკლუზივი



## ვინ მფარველობს და რატომ არ აპატიმრებენ მერაბიშვილის მეუღლეს?

## და რამდენი პრემია გადაუხადა მერაბიშვილმა სპეცრაზმელებს

29 იანვარს, გვიან საღამოს გავრცელდა შოკისმომგვრელი კადრები, სადაც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი სპეცრაზმს ავალებს, რომ მას ესაჭიროება ორი გვამი, პრემია დიდი იქნებაო. ასევე, კოდუასა და დათა ახალაიას აძლევს სამხედრო მიმართულებას და კადრებში ფიქსირდება, გენერალი გიგი კალანდაძე. სპეცოპერაციაში ჩართულია მიხეილ სააკაშვილი, რომელიც კითხულობს, – სად არის ვანო? სავარაუდოდ, ეს კადრები გადაღებულია 2009 წლის 5 მაისს, ე.წ. მუხროვანის ამბოხის სპეცოპერაციის წინ. ამ დღეს ბატალიონის მეთაური დააპატიმრეს და სასტიკად გაუსწორდნენ. სააკაშვილის კრიმინალურმა რეჟიმმა ამ სასტიკ სპეცოპერაციას ის სარჩული დაუდო, რომ გახსნილიყო ქვეყნის დესტაბილიზაციისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მკვლელობის გეგმა. როგორც ხედავთ, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ჩვენ ვიხილეთ კადრები, ვინ არიან რეალური მკვლელები და მკვლელობის შემკვეთები.

ამის შემდეგ ჩაცხრილეს თბილისისკენ მომავალი მიკროავტობუსი, რომელშიც ისხდნენ სამხედროები – გია კრიალაშვილი, კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე. გია კრიალაშვილი მოკლეს, ოთანაძე და ამირიძე კი თვეების განმავლობაში ებრძოდნენ სიკვდილს. ივანე მერაბიშვილმა მოთხოვნილი ორი გვამიდან მიიღო ერთი, დანარჩენებს კი სიცოცხლე სატანჯველად უქციეს. რამდენი აიღო პრემიის სახით კრიალაშვილის მკვლელობისთვის სპეცრაზმელმა, ამას გამოძიება დაადგენს. თუკი პროკურატურა ვერ დაამტკიცებს, რომ ვანო მერაბიშვილი მკვლელია და მას სამაგალითოდ არ დასჯის, ეს გამოიწვევს უკუქცევად პროცესს და შესაძლოა, სააკაშვილის დამნაშავე სექტას ამოფარებულ აქტივისტებს ხალხი თავად გაუსწორდეს.

გუშინ გვიან ღამით სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მერაბიშვილმა შეპირებულ პრემიებად ოპერაციაში მონაწილე სპეცრაზმელებს 12 000-12 000 ლარი გადაუხადა.

გუშინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ივანე მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას ფოტო საპროტესტო ლოზუნგით ხელში – „იძებნება სამართალი!“ ეს არის დაცინვა, პროვოკაცია და ადამიანების გამოწვევა, ბიძგის მიცემა, რომ ხალხმა ანგარიშსწორება დაიწყოს და დამნაშავედ იქცეს. ეს იმ ფონზე, როცა ვრცელდება უამრავი მასალა იმის შესახებ, რა მითითებებს აძლევდა თაკო სალაყაია, თუ ვის როგორ უნდა გასწორებოდნენ... ამის შესახებ, იმჟამინდელი სახალხო დამცველის მოადგილემ სოფო ხორგუანმა დეტალურად აღწერა ფაქტები, სადაც სალაყაიას ჭკუაზე დადიოდნენ პოლიციელები, როცა მას არ მოეწონებოდა ვინმეს გამოხედვა თავშეყრის ადგილებში, აძლევდა ბრძანებას, სასტიკად ეცემათ. თუმცა, მანამდე, პოლიტიკოსმა ლევან ბერძენიშვილმა გააკეთა სკანდალური განცხადება, მას მიაწოდეს ინფორმაცია, როგორ ასმენინებდნენ თაკო სალაყაიას გირგვლიანის წამების ხმებს მობილურ ტელეფონზე 40 წუთის განმავლობაში. როგორც ხედავთ, თაკო სალაყაია დღეს დაუსჯელი დადის და „ეძებს სამართალს“. დაეხმარეთ, აღადგინეთ სამართლიანობა და დასაჯეთ ეს დამნაშავე ქალი, დასვით განსასჯელის სკამზე!.. გაგვარკვიეთ, ეს ქალბატონი ისმენდა თუ არა 40 წუთის განმავლობაში გირგვლიანის კვნესას სიკვდილის წინ.




„ნაციონალების“ თავზეხელაღებულ საქციელს საზღვარი აღარ აქვს, მათმა მუხრუჭებმა დიდი ხანია გაასხა. გიგა ბოკერიას მეუღლე – თამარ ჩერგოლეიშვილი, ალბათ, ვერ ხვდება, რომ თუთიყუშს უფრო მეტი ტვინი აქვს, ვიდრე მას. როგორც ჩანს, კომპასი დაკარგა, დროსა და სივრცეში აირია, ან 9 წელი კლინიკური სიკვდილის მსხვერპლი იყო. ავტომანქანების ტექდათვალიერების შესახებ „ტაბულას“ რედაქტორი, რომელიც მთავარი დამფინანსებელი იარაღით უკანონო მოვაჭრე დავით კეზერაშვილია, უკვე მიედ-მოედება. ტრიბუნად „ფეისბუკს“ იყენებს, რადგან მის ჩამოწერილ „ტაბულას“ „ნაცებიც“ აღარ კითხულობენ. აი, რას წერს ბოკერიას მეუღლე „ფეისბუკით“: „საქართველოს მოსახლეობის მთავარი პრობლემა უმუშევრობაა“. თამარი სიმართლეს ღაღადებს, ის არ ღადაობს... „საქართველოში გვყავს ბევრი ორდიპლომიანი ტაქსისტი, რომელიც ძირგამძვრალ მანქანას ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრი ადამიანი იძულებულია, ძველი მოშლილი მანქანით იტაქსაოს იმისთვის, რომ ოჯახში ორი კაპიკი შეიტანოს და შიმშილით არ მოკვდეს“. ეს გახლავთ ნაკვესი თამარის „სიბრძნის სიმფონიიდან“... ქართველებო, ამოგლიჯეთ 9 წელი თქვენი ცხოვრებიდან, დაივიწყეთ „ნაციონალების“ უსამართლო სამართალი, დაივიწყეთ ის დრო, როცა ქონებას გართმევდნენ, დაგცინოდნენ, დუბინკებზე გაბზრიალებდნენ, გაშიმშილებდნენ, სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით გყრიდნენ და თქვენს გვამებზე დარბოდნენ... მართალია, 9 წელი არ ახსოვდით, მაგრამ თამარს გული აუჩუყდა, თამარი „თქვენზე ფიქრობს“. თამარი „ნაციონალების“ საიქიოდან, სააქაოს მობრუნდა. მას არც ის ეხსომება, რამდენს და როგორ შოულობდა მისი მეუღლე გიგა ბოკერია...

ექსნაციონალსა და „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ 145-ლარიანი ქვითარი გაუგზავნა. ნიკა გვარამია მოაზროვნე ბიჭია, ვერაფერს იტყვი. შესაბამისად, მის „ფეისბუკზე“ გამოქვეყნებულმა პოსტმა ყველა იმ კითხვაზე გამაცემინა პასუხი, რასაც თითოეული თქვენგანი ფიქრობთ. ჰოდა, ნიკა გვარამიას პოსტს თუ ყველა დავესესხებით: „ბოდიში მაგრამ, ამათ, შიგ ხომ არა აქვთ?!.“ – ეს ნიკა გვარამიას სიტყვებია, რომელიც ამ სტატიაში მოხსენიებული პერსონაჟების მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს. მადლობა, ნიკა გვარამიას!..

დაბოლოს, ბატონო ნიკა, როცა თქვენ მთავარი პროკურორის მოადგილე ბრძანდებოდით, იღებდით და ახმოვანებდით ოპოზიციის „მაკომპრომეტირებელ ფილმებს“, როცა ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით ციხეებში სვამდით და თქვენი იდუმალი ხმა გვახსენებდა ბოლშევიკების რეჟიმს, როცა თქვენს ხმას მოჰყვებოდა საშინელი პოლიტიკური სცენარების დატრიალება, თქვენივე აღშფოთებული სიტყვებით მოგმართავთ: „ბოდიში, მაგრამ თქვენ, შიგ ხომ არ გაქვთ?!“ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ნიკა გვარამიას იმ ფრაზებისთვის, საკუთარი ქმედებისა და მთლიანად „ნაცმოძრაობის“ შეფასებისთვის ადეკვატური ფრაზაა!..

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ფარული ჩანაწერების კომისია რთული ამოცანის წინაშე დგასო



აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, ფარული ჩანაწერების საკითხების შემსწავლელი კომისია რთული ამოცანის წინაშე დგას, ვინაიდან უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერები მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა გამოძიებისთვის. ელჩის თქმით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც უკანონოდ მოპოვებული ვიდეომასალის განადგურების შესაძლებლობას განიხილავს.

„მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ეს მასალები ხშირ შემთხვევაში უკანონოდ იყო მოპოვებული, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი მტკიცებულება გამოძიებისთვის, რომელიც შეიძლება ჩატარდეს შესაძლო კრიმინალურ ქმედებაზე. კომისიის წინაშე ძალიან რთული ამოცანა დგას. მათ მოუწევთ ამ თემების დაბალანსება, მაგრამ საბოლოო ჯამში საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯი აქვს გადადგმული წინ იმ მხრივ, რომ იქნება ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანა, რომელიც ფარულ ჩანაწერებს გაანადგურებს მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის“, – აღნიშნა ნორლანდმა. (ინტერპრესნიუსი)

### მაღაროელის დაღუპვასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებენ

ტყიბულის მინდელის სახელობის შახტაში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით კომპანია „საქნახშირი“ განცხადებას ავრცელებს. საწარმოს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შეიქმნა მიზეზების დამდგენი კომისია, რომელიც ადგილზე მუშაობს და მოკვლევა მიმდინარეობს.

„კომპანია „საქნახშირის“ ადმინისტრაცია და შრომითი კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს. „საქნახშირი“ და შესაბამისი სადაზღვევო კომპანია უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას საკუთარ თავზე იღებენ“, – ნათქვამია განცხადებაში.

მაღაროს ნულოვან ჰორიზონტზე მოპოვებული ნახშირის ტრანსპორტირებისას 28 იანვარის, დაიღუპა მაღაროს უფროსის მოადგილე, ტარიელ ქასრაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

### ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, სამტრედიის რაიონული სამმართველოსა და ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1957 წელს დაბადებული, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მალხაზ ჟ. ქურდული სამყაროს წევრობისა და ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულს კავშირი ჰქონდა ე.წ. ქურდული სამყაროს წევრებთან. ასევე დადგინდა, რომ 2014 წლის 7 იანვარს მალხაზ ჟ-მ თანამზრახველებთან ერთად სამტრედიაში, კალანდარაშვილის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგური გაქურდა, საიდანაც გაზგასამართი დანადგარის სხვადასხვა აპარატურა წაიღო. (ინტერპრესნიუსი)

## ფალსიფიკაციის ფაქტებზე სამი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის ქურდობის, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და ფალსიფიკაციის ფაქტებზე, შპს „ჯინდალ პეტროლეუმ ოფერეითინგ ქომფანი"-ს ოპერატორი რამაზ სტეფანაშვილი და მოქალაქეები ზაზა ოსიაშვილი და ბონდო ბერუაშვილი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ოსიაშვილს თბილისში, დიდ ლილოში, სოფელ წინაუბანში, „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს" ლიცენზიის გარეშე, არალეგალური ნავთობგადამამუშავებელი სახდელი ჰქონდა მოწყობილი, სადაც ის „ჯინდალ პეტროლიუმ ოფერეთინგ ქომფანიდან" მოპარული ნედლი ნავთობის გამოხდას აწარმოებდა, ფალსიფიცირებული დიზელის საწვავის რეალიზაციას კი „ენერჯ ოილის" ბენზინგასამართ სადგურებზე ახორციელებდა, რითაც დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდა.

გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ თბილისში, სოფ. დიდ ლილოში ცენტრალური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე და გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფში აღმოჩენილ იქნა არალეგალურად მოქმედი სხვა ნავთობგადამამუშავებელი სახდელები, სადაც ასევე ხდებოდა კუსტარული, ფალსიფიცირებული დიზელის საწვავის მიღება.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება. დაკავებულებს 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი




# როგორ აიგდო ლევან ბერძენიშვილმა არასაპარლამენტო ოპოზიცია



ხელისუფლება საარჩევნო კოდექსში არაფერს ცვლის, იცვლება მხოლოდ ბარიერები – თბილისში 40 პროცენტი, რეგიონებში – 33 პროცენტი. 24-25 და 26 იანვარს არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები, ფაქტობრივად, ტყუილად ჩაიყვანეს ქობულეთში, ტყუილად დააბინავეს თემურ ჭყონიას სასტუმროში და ტყუილად გაფლანგეს ათასობით დოლარი. მართალია, ამ ფულს უცხოური ორგანიზაციები – „იუესაიდი" და „აიფიესი" აფინანსებენ, მაგრამ მაინც ხომ ტყუილად დაიხარჯა? მოკლედ, ქობულეთის „სამუშაო" შეხვედრაზე საქმე იქამდე მივიდა, რომ დღის წესრიგში ინტერფრაქციული ჯგუფის დაშლის საკითხიც კი დადგა. როგორც პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი, თამარ ჯუღელი ამბობს, „რესპუბლიკელი" ლევან ბერძენიშვილი ისე განერვიულდა, არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებს თავხედურად მიუგო: დაიშლებით, თორემ ახლა თქვენც ასეთი საქციელით ქართული პოლიტიკური სივრცე არ შეაზანზაროთო. ისე, სასაცილოა, ამას ლევან ბერძენიშვილი რომ ამბობს, ერთი თვითონ სცადოს და პარლამენტიდან წავიდეს თავის ძმაკაცებთან ერთად, არ აინტერესებს, ქართული პოლიტიკური სივრცე შეზანზარდება თუ არა? მე ვაძლევ პირობას, შეზანზარდება კი არა, ზეიმი გამოცხადდება.

ქობულეთის შეხვედრაზე ხათუნა გოგორიშვილმა ბევრი იცინა: თქვე კაი ხალხო, თუ ჩემი „სიფათი" არ მოგწონთ, პლასტიკურ ოპერაციას გავიკეთებ და აღიარეთ, რომ ჩემი დაწერილი საარჩევნო კოდექსი ძალიან მოგწონთო. ხათუნას კვერს უკრავდა მიშა მაჭავარიანიც. სხდომებს თამადის სტილში ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი, ზვიად ძიძიგური უძღვებოდა, რომელსაც არც ერთ საკითხზე არც პასუხი ჰქონდა და არც საკუთარი პოზიცია, ის გამუდმებით იმეორებდა, ჯერ ჩვენ ჩამოყალიბებული არ ვართ, 10 თებერვლამდე ჩამოვყალიბდებით და მერე ვილაპარაკოთო. შე კაი კაცო, თუ ჯერ არ ხარ ჩამოყალიბებული, როცა არჩევნებამდე 3 თვე დარჩა, მაშინ რაღას დააპროწიალებ ამდენ ხალხს ხან კაჭრეთში, ხან კიდევ ქობულეთში? კაჭრეთი შემთხვევით არ მიხსენებია, ქობულეთამდე ერთი შეხვედრა სწორედ ამ სოფელში (საგარეჯოს რაიონი) გაიმართა, სადაც კოალიციის წარმომადგენლებმა თავი იმართლეს, ჩვენს აზრებს კარგად ჩამოვაყალიბებთ და ქობულეთში წარმოგიდგენთო. და რა? რაც კაჭრეთში ჩაიტანეს, იგივე ჩაიტანეს ქობულეთშიც. მეტიც, თამარ ჯუღელის თქმით, საკუთარს ვინ ჩივის, არასაპარლამენტო პარტიების წინადადებებზეც კი არ უმსჯელიათ: „სანამ ქობულეთში ჩავიდოდით, ზოგიერთი პარტიების წარმომადგენლები ისტერიკაში იყვნენ და იქაც დაიწყეს გარჩევა. უცებ შუა სხდომაზე გამოდის კაციტაძე და იძახის, ახლა უნდა გაგაცნოთ ჩემი პირადი მოსაზრება, რასაც კოალიცია გვთავაზობს, ამაზე თანახმა ვარ, 33 და 40-პროცენტიანი ბარიერების დაწესებას ვეთანხმებიო. ვერ გეტყვი, რატომ შეცვალა კაციტაძემ ჩვენება. სხვათა შორის, „ლეიბორისტებმა" დააყენეს საკითხი დეპუტატების გამოწვევის თაობაზე, მაგრამ ამით არავინ დაინტერესებულა".

დეპუტატების გამოწვევის საკითხი ძალიან საინტერესოა. ამაზე ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილი ლაპარაკობდა არჩევნების პერიოდში, მაგრამ მოგვიანებით ყველას დაავიწყდა. არადა, ამ მხრივ ჩვენს სინამდვილეში დიდი უნამუსობა ტრიალებს – გავა ვიღაცა პარლამენტში „ნაციონალების" სიით და მერე ხან „ოცნებაში" ისკუპებს, ხან კიდევ „რესპუბლიკელებში", გააჩნია, სად როგორი „დოსტუპი" აქვს. წესით, როცა ამა თუ იმ პარტიის ეგიდით გასული დეპუტატი სადმე გადასკუპებას მოინდომებს, იმავე პარტიას უნდა ჰქონდეს უფლება, უკან გაიწვიოს. სწორედ ასეთი წინადადებით წარდგნენ „ლეიბორისტები" ქობულეთის შეხვედრაზე, მაგრამ ლევან ბერძენიშვილმა მათ ენა გამოუყო, თქვენ ხომ არ გაჟრიალებთ, ეგ რომ გავითვალისწინოთ, „ნაციონალებს" რანაირადღა ჩავეხუტოთო?! მოდით, ვთქვათ სიმართლე, როგორც თამარ ჯუღელი ამბობს, ეს ყველაფერი კეთდება უცხოურ ორგანიზაციებთან ერთად, ქართველი ხალხის თვალის ასახვევად. ფაქტობრივად, გვაგოიმებენ:

„ესენი ქმნიან იმიტაციას, რომ ჩვენ ვსხედვართ მოლაპარაკების მაგიდასთან, ვმუშაობთ... არადა, სინამდვილეში არაფერი არ კეთდება. არც ერთ საკითხზე სერიოზული მსჯელობა არ ყოფილა. სწორედ ამიტომ ვაპირებდით ბოიკოტის გამოცხადებას და ინტერფრაქციული ჯგუფის დაშლას, მაგრამ მერე სხვებმა გადაიფიქრეს. გვითხრეს, 10 თებერვლამდე გვაცალეთო და ამიტომაც შევიკავეთ თავი. მოკლედ, ბიომეტრია ვერ კეთდება, ბიომეტრიული სიები არ გვექნება. ახლა იძახიან, არქივში არსებულ სურათებს შევადარებთ პირადობის მოწმობებს და ასე შევეწინააღმდეგებით გაყალბებასო. „ნაციონალები" ხმას ვერ იღებენ, ხომ არ იტყვიან, ჩვენი დაწერილი კოდექსი ცუდიაო? ეგენი მარტო ბარიერზე ლაპარაკობენ. ძიძიგურმა აღიარა, რომ კოალიცია ჭრელია და რაღაც საკითხებზე შიგნითაც ვერ თანხმდებიან. სწორედ ამის გამოა, რომ ვერ ყალიბდებიან. ასევე არ არის არანაირ დაფინანსებაზე საუბარი, ნინო ბურჯანაძის პარტია ითხოვს კვალიფიკაციის მინიჭებას, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებში 10 პროცენტი აიღეს. არც ამაზეა პასუხი. მოკლედ, ბარიერის შეცვლის გარდა არჩევნებამდე ცვლილებები ვერ ესწრება. ქობულეთის შეხვედრამდე სამჯერ დაგვიბარეს, ჩაგვიტარეს პრეზენტაციები, ილაპარაკეს, რა ტექნოლოგიები უნდა შეიძინონ, რა მიღწევები გვაქვს ამ სფეროში, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ თურმე ვერაფერი ვერ ესწრება. თუ რამე შეკითხვა გაგიჩნდება, საერთოდ არ გალაპარაკებენ, არც დაფინანსების საკითხი აინტერესებთ, არ სარეკლამო დროის გამოყოფა და არც არაფერი".

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სახალხო დამცველი სუბარს რეკომენდაციით მიმართავს




სახალხო დამცველი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, სოზარ სუბარს რეკომენდაციით მიმართავს. როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, სახალხო დამცველის რწმუნებულები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში შეხვდნენ და გაესაუბრნენ იქ მყოფ ბრალდებულებს ზ.კ-ს, ა.ი-ს, შ.ჭ-ს, ა.გ-ს, ნ.დ-ს და გ.ნ-ს. ასევე, შეამოწმეს მათი საცხოვრებელი და სხვა პირობები.

ბრალდებულებთან გასაუბრებისა და მათი საცხოვრებელი საკნების დათვალიერების დროს გაირკვა, რომ:

„საკნების ფანჯრები ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ჰაერის ვენტილაციას, ვინაიდან მათში ჩამონტაჟებულია გისოსების სამი რიგი, ხოლო ხელოვნური ვენტილაციის სისტემა ჩართული არ არის. ნესტიანი კედლების პირობებში, ცენტრალური გათბობის მიუხედავად, საკნებში არის დაბალი ტემპერატურა, რადგან არასაკმარისი ვენტილაციის გამო ბრალდებულები თავს იკავებენ ფანჯრების დახურვისგან.

ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ზემოაღნიშნული პირობებიდან გამომდინარე, აწუხებთ უჰაერობა. არ არიან უზრუნველყოფილი გასეირნების უფლებით და საკნებში იმყოფებიან მარტო, სხვა პირებისგან იზოლირებულად. ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფითად მოქმედებს მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რაც გამოიხატება უძილობაში, შფოთვასა და ადვილად გაღიზიანებაში. ზოგიერთ მათგანს მიყენებული აქვს თვითდაზიანება, რის მიზეზადაც არასათანადო პირობებში მოთავსებას ასახელებენ.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, უზრუნველყოს ბრალდებულების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამის საცხოვრებელ პირობებში მოთავსება. ასევე, მათ მიერ სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა და განიხილოს მათი საკანში მარტო ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი", – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## პროფკავშირები მუშების დაღუპვის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ

პროფკავშირების გაერთიანება საწარმოებში მუშების დაღუპვის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. პროფკავშირების განცხადებით, მარტო ბოლო ერთ კვირაში, სამთო მრეწველობისა და ქიმიურ სექტორში ორი საწარმოო შემთხვევა სასიკვდილო შედეგით დასრულდა. 28 იანვარს ტყიბულის ნახშირმომპოვებელი ძიძიგურის მაღაროს დირექტორის მოადგილე მოპოვების დარგში, 51 წლის ტარიელ ქასრაშვილი ვაგონებს შორის მოყვა, რის შედეგადაც თავის ქალა დაუზიანდა და გარდაიცვალა. მას სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

მიმდინარე წლის 22 იანვარს კი, რუსთავის ქიმიურ ქარხანაში, რომელსაც ოპერირებს კომპანია „რუსთავის აზოტი", ქარხნის თანამშრომელი ომარ ქავთარაძე, სამუშაო პროცესის დროს დაახლოებით 7 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და თავის არეში სასიკვდილო ტრავმები მიიღო, რის შედეგადაც 24 იანვარს გარდაიცვალა.

საქართველოს პროფკავშირები კატეგორიულად მოითხოვს უბედური შემთხვევების მიზეზების დამდგენ კომისიებში ჩართვას, დამნაშავეთა დასჯასა და დაღუპულთა ოჯახებისთვის ღირსეული კომპენსაციის გადახდას. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები



## რატომ უპირისპირდება გიორგი ვაშაძე გიგი უგულავას?!



„ნაცმოძრაობაში“ ისევ დაიძაბა სიტუაცია, უფრო სწორად, ძალიან გამწვავდა კლანური დაპირისპირება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით. თუკი „ნაცბანდა“ რეგიონებში, ასე თუ ისე, რაღაცას ახერხებს, დედაქალაქის მერის თანამდებობის გამო შიგნითვე წეწავენ ერთმანეთს... კერძოდ, გიორგი ვაშაძის გარშემო შეკრებილი „ნაციონალები“ მერის არჩევნებში გიგი უგულავას კანდიდატურის დაყენების წინააღმდეგ გამოდიან და მის ნაცვლად „ახალ სახეს“, იგივე გიორგი ვაშაძეს უჭერენ მხარს. როგორც „ალიას“ წყარო ატყობინებს, „ნაციონალებს შორის დაპირისპირებამ პარტიაში გამართულ სამდივნოს სხდომაზე ღიად იჩინა თავი. ვაშაძის მიერ საკუთარი ამბიციების ღიად დაფიქსირება და გიგი უგულავას ულტერნატივო კანდიდატად დასახელების წინააღმდეგ გამოსვლა, სამდივნოს შეკრებაზე, მწვავე დაპირისპირებასა და ლანძღვა-გინებაში გადაზრდილა. ჩვენ უკვე არაერთხელ ვწერდით, რომ გიორგი ვაშაძემ „ნაცმოძრაობაში“ ახალგაზრდული ფრთის უფროსობა ჩაიგდო ხელში და საქმეს ამ კუთხით აწვება... მისი აზრით, მიშა მაჭავარიანისა და ხათუნა გოგორიშვილის დრო წავიდა, უკვე საჭიროა ახალი „სისხლი“, რათა პარტიამ ადგილობრივ არჩევნებში გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს. მართალია, ის მაჭავარიანსა და გოგორიშვილს ღიად არ უპირისპირდება, მაგრამ კულუარებში მათ ლანძღვას ნამდვილად არ ერიდებაო. ვაშაძეს ნერვებს უშლის მიხეილ სააკაშვილის პოზიციაც, რომელიც ტელეფონის საშუალებით მართავს მიშა მაჭავარიანს. ვაშაძეს სხდომაზე ასევე კატეგორიულად მოუთხოვია ხუთშაბათს, 30 იანვარს სასტუმრო „მერიოტში“ დაგეგმილი თბილისის მერისა და გამგებლების კანდიდატების პრაიმერისის პრეზენტაციის გადადება, რადგან მისი ჩატარებაში აზრს ვერ ხედავს, ხოლო სხვის თამაშში მონაწილეობის სურვილი არ გააჩნია.

ვაშაძე და მისი მხარდამჭერები კარგად აცნობიერებენ, რომ ძველ სახეებზე დაყრდნობით პარტია საპრეზიდენტო არჩევნებში მიღწეულზე უარეს შედეგებს მიიღებს, მაგრამ ძველ სკამებზე მყარად მომჯდარ ძველ „ნაცელიტას“ არანაირი სურვილი არ აქვს, წამყვანი პოზიციები დათმოს და ვაშაძისნაირ „ახალ სახეებს“ აქტიურ ასპარეზზე გამოსვლის საშუალება მისცეს. ამიტომ გიორგი ვაშაძე ფიქრობს, რომ შეიძლება პარტიის დატოვება საუკეთესო გამოსავალი იყოს. თუმცა ერთ-ერთი პარტიული სახის, ხვიჩა სანაიას თბილისის საკრებულოდან გაქცევის შემდეგ „ნაციონალებისთვის“ პარტიიდან ვაშაძის წასვლა ძალიან მტკივნეული დარტმა იქნება. მის მოსარჯულებლად ძველი პარტიული ელიტა ყველა საშუალებას იყენებს. მათ არ უნდათ, ჯერჯერობით დაპირისპირება გარეთ გამოიტანონ, მაგრამ უკვე გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც მისი ამბიციების მიმართ აგრესიას ღიად გამოხატავენ და მოღალატესაც უწოდებენ... ასეთთა რიცხვს განეკუთვნება თურმე გიგა ბოკერია. სწორედ მან და გიორგი ვაშაძემ დასცხეს ერთმანეთს პარტიულ სხდომაზე და უშიშროების ყოფილმა მდივანმა მაგრადაც აიყროლა პირი.

ვაშაძე უკვე გამოსულია მიხეილ სააკაშვილის კონტროლიდან და აღარც ძველ პარტიულ ბოსებს ემორჩილება, ის თვითნებურად მართავს შეხვედრებს „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებთან და ეძებს ახალ სახეებს. „ნაცმოძრაობაში“ უკვე ფიქრობენ, რომ მათი სიით გასული დეპუტატი აშკარად შარზეა და ხელის აქნევას ელოდება, რათა შერისხულის მანტია მოისხას, რაც თბილისის მერის არჩევნებში ქულებს შემატებს. რაღა დაგიმალოთ და ვაშაძე მაგარი „ლაყაფისტია“, მას შეუძლია, საკუთარი დემაგოგიის ხარჯზე ბევრი ადამიანი გააბრიყვოს. ახლა მისი პოლიტიკური მომავალი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, როგორი სკანდალით წავა „ნაციონალური მოძრაობიდან“. ამასთანავე, ვაშაძეს ის ფაქტიც უწყობს ხელს, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ისეთ თანამდებობაზე იყო (საჯარო რეესტრის ხელმძღვანელი), მაინცდამაინც არ არის გასვრილი „ნაციონალურ“ სიბინძურეში. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა კიდეც, მაგ ადამიანთან დალაპარაკება შეიძლებაო.

სანდო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კულუარებში ვაშაძე სააკაშვილსაც უპირისპირდება და მრავალნაირ ბრუნვაში იხსენიებს, რომ პარტიაში არაფერს ცვლის და სადავეები დამყაყებულ თაობას ჩაუგდო ხელში, რაც, მისი აზრით, მომავალ არჩევნებში მათი დასამარება იქნება.

რაც შეეხება ყოფილ მერს, გიგი უგულავას, ის ჯერჯერობით არ აქტიურობს და ელოდება, პარტიაში ვინ ვის „გადაულუნავს“. მას ერთი პერიოდი ეგონა, რომ თავი ქუდში ჰქონდა, რადგან სააკაშვილი და ძველი გვარდია მხარს მას უჭერს, მაგრამ ვაშაძისა და ახალგაზრდული ფრთის წინააღმდეგობამ თავის ტკივილი გაუჩინა. არადა, გიგილო ოცნებობს, ხელახლა ჩაჯდეს თბილისის მერის თბილ სავარძელში და კვლავ საკუთარი ხელით ითვალოს მილიონები. თუმცა, ის მაინც შიშობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმეჯერ კიდევ დაიბარებენ პროკურატურაში და პოლიტიკურ კარიერაში ხელს შეუშლიან. გიგილოს პოლიტიკური კარიერა არ გაიშვა, მაგრამ ის მაინც ასე ფიქრობს.

როგორც უკვე გითხარით, პარტიაში დიდი დავა მიდის იმაზე, გაიმართება თუ არა 30 იანვარს პრაიმერისის დაწყებასთან დაკავშირებული პრეზენტაცია. თუ გაიმართა, უნდა ჩავთვალოთ, რომ ძველმა პარტიულმა ელიტამ ამ ეტაპზე გაიმარჯვა, თუ არა და მაშინ გამოდის, გიორგი ვაშაძემ თავისი გაიტანა. მე პირადად პირველი უფრო მგონია, რადგან სააკაშვილი ვაშაძეს ხელში არ ჩაუგდებს პარტიის სადავეებს და კიდევ უფრო არ აარევინებს სიტუაციას.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საბავშვო ბაღები ვაუჩერით დაფინანსდება



სექტემბრიდან თბილისის მერია საბავშვო ბაღების ვაუჩერით დაფინანსებას გეგმავს. თბილისის მერის მოადგილის, პაპუნა პეტრიაშვილის განცხადებით, 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტით ბაღებისთვის გათვალისწინებულია 75 მილიონი ლარი, რაც თითქმის 25 მილიონ ლარზე მეტია, ვიდრე გასულ წელს იყო.

დღეს არსებული მონაცემებით, თბილისის საბავშვო ბაღებში 48 ათასი აღსაზრდელი დადის, 15 ათასი აღსაზრდელი კი სახელმწიფო ბაღებში დარეგისტრირებას ვერ ახერხებს. თბილისის მერის მოადგილის თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, 1-ლი სექტემბრიდან თითოეულ ბავშვს მერია გამოუყოფს 800 ლარს და აღსაზრდელებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ ვაუჩერით კერძო ბაღებშიც დარეგისტრირდნენ. ამით მოხდება სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებული ბაღების განტვირთვაც.

პეტრიაშვილის განცხადებით, წელს ბაღების მშენებლობისთვის 15 მილიონი ლარია გათვალისწინებული. თბილისში აშენდება 10 ახალი ბაღი. საბავშვო ბაღების შენობების დიზაინი უკვე შერჩეულია. ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, გამოცხადდება ტენდერი და თბილისის სხვადასხვა რაიონში სექტემბრისთვის უკვე ახალი 10 საბავშვო ბაღი იფუნქციონირებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანია აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებს შეხვდა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, დავით ნარმანია აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებს შეხვდა. სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე განხილულ იქნა მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის საკითხები.

„აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, მათ შორის, თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. აღნიშნული მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები გაზაფხულიდან დაიწყება. პროექტს განახორციელებს ჩინური კომპანია „სინოჰიდრო კორპორეიშენ ლიმიტედი“, რომელმაც აიღო ვალდებულება, მუშახელად საქართველოს მოქალაქეები დაასაქმოს.

ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, ასევე, განხორციელდება თბილისში მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა, ბათუმის სანაპირო ზოლის დაცვის სამუშაოები და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები. შეხვედრაზე ასევე, განიხილეს მომდევნო ტრანშის ფარგლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული მიმართულებები“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა




თბილისში, დოლიძის ქუჩაზე მკვლელობა მოხდა. შსს-ს ცნობით, ზარი ბ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას, ყოფილ სიძეს კარლო სულავას დანით გულმკერდისა და ფეხის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი სულავა შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეხუთე განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1944 წელს დაბადებული ზარი ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ზარი ბ. აიყვანეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისში სამი ხიდის კონსტრუქციული ნაწილების შეცვლა იგეგმება



თბილისის მერის მოადგილის, პაპუნა პეტრიაშვილის თქმით, თბილისში სამი ხიდის კონსტრუქციული ნაწილების შეცვლა იგეგმება, ცხრას კი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება.

ამ მიზნით თბილისის მერიის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 10 მლნ ლარი. კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს ავჭალის, ზაჰესის სარკინიგზო ხიდი და მარშალ გელოვანის გამზირზე, მდ. დიღმულაზე არსებული ხიდი. ეს სამივე ხიდი სასწრაფოდ შესაკეთებელია. ხიდების შესაკეთებლად ტენდერი უკვე გამოცხადებულია.

რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ბარათაშვილის ხიდს. ამ მიზნით თბილისის მერია 2,5 მილიონ ლარს დახარჯავს. ბარათაშვილის ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვისაც ტენდერი გამოცხადდა. (ინტერპრესნიუსი)

## ვანო მერაბიშვილი: „ორი გვამი მჭირდება!“



ინტერნეტში ყოფილი ხელისუფლების მიერ ერთ-ერთი სპეცოპერაციის დაგეგმვის ამსახველი კადრები გავრცელდა. ვიდეომასალაში სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირები სამოქმედო გეგმაზე მსჯელობენ. ამასობაში შემთხვევის ადგილზე ვერტმფრენი ჩნდება და სამხედროფორმიან მოქალაქეებთან ვანო მერაბიშვილი მიდის.

„მინდა მე ორი კაცი, ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი, ვსიო, პრემია დიდია“, – მიმართავს ვიდეოში მერაბიშვილი სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პირებს.

მერაბიშვილი შემთხვევის ადგილზე შეკრებილ პირებს სწრაფად მოქმედებისკენაც მოუწოდებს, ასევე, კოდუასა და ახალაიას მოუწოდებს, დაილაპარაკონ და მიმართულებები აიღონ. იქ მყოფი პირები მუხროვანის პოლიგონსაც ახსენებენ. ამის შემდეგ მერაბიშვილის დავალებით სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირები სხვადასხვა მიმართულებით მიდიან.

შემთხვევის ადგილზე მიდის იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილიც. კადრებში, ასევე, ჩანს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თბილისის უფლებამოსილებაშეჩერებული მერი გიგი უგულავა.

youtube-ზე ვიდეო დღეს appolon osman-ის სახელით აიტვირთა. მისი ავთენტურობა ჯერჯერობით უცნობია.

პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თემურ დოლიძის განცხადებით: „ვიდეომასალის შესახებ ჩვენთვის უკვე ცნობილი გახდა. პროკურატურა აუცილებლად შეისწავლის გავრცელებულ მასალას და მოკვლევის შედეგებს საზოგადოებას გააცნობს“, – აღნიშნა დოლიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




# ექსკლუზივი



# უფლებადამცველთა „ენჯეო“ ეკა ბესელიას ბრალს სდებს

**„ალიას“ „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ლექსო კობაიძე ესაუბრა:**

– ჩვენ დღეს ვმუშაობთ ისეთ ადამიანებზე, ისეთ პოლიტიკოსებზე, რომლებიც, ჩვენი ინფორმაციით, ბიზნესს აკონტროლებენ. ამ შემთხვევაში საუბარია ფოთის პორტზე. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ფოთის პორტს აკონტროლებს ეკა ბესელია. ეს გამოიხატება იმაშიც, რომ ეკა ბესელიას კლანის გარეშე იქ გემიც ვერ შემოვა, თუ საქმის კურსში არ არიან კონკრეტული ადამიანები. ეს მიანიშნებს იქითკენ, რომ ის ე.წ ფეოდალიზმი გვაქვს და გრძელდება კლანური მმართველობა. ამ შემთხვევაში ეკა ბესელიას აღებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რომ ფოთის პორტიდან აღებული წილები მის ინტერესებს უნდა მოხმარდეს.

ჩვენ გვქონდა ისეთი ფაქტი, როდესაც მოვიდნენ ჩვენთან და ჩემს მეგობარს ჰკითხეს, თუ გვყავდა ეკა ბესელიასთან ისეთი ნაცნობი, ვინც დაეხმარებოდა, რომ ფოთში გემი შემოეყვანა. მე ამ შემთხვევაში იმ ბიზნესმენის სახელს არ დავასახელებ, მაგრამ თვითონ ფაქტი უკვე კანონსაწინააღმდეგოა, რადგან პოლიტიკოსები განაგებენ ისევ ბიზნესს, ამ შემთხვევაში იმას, თუ რომელი გემი უნდა შემოვიდეს და რომელი – არა.



**— არ გიფიქრიათ, რომ, რადგან ეკა ბესელია ფოთის მაჟორიტარია, ვიღაცებს მისი დისკრედიტაცია სურთ?**

– რა თქმა უნდა, საფუძვლიანია თქვენი კითხვა, მაგრამ მას არ აქვს არანაირი უფლება, მსგავს საკითხებში ერეოდეს, შევა თუ გავა გემი, ამას პოლიტიკოსი არ უნდა წყვეტდეს, ეს მის კომპეტენციაში არ შედის, არც ერთ ქვეყანაში მსგავსი რამ არ ხდება. მე ამ შემთხვევაში არანაირი პირადი ინტერესები არ მაქვს ეკა ბესელიასთან, მე ზოგადად ვსაუბრობ, რომ პოლიტიკოსი არ უნდა ერეოდეს ბიზნესში. მე უბრალოდ ვიცავ ქვეყნის ინტერესებს და არ მინდა, დღევანდელი პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ იმ ჭაობში, რაშიც წინამორბედები იყვნენ, რომლებსაც ხალხის ბედი და ინტერესები არ ანაღვლებდათ. სამწუხაროდ, ამის ტენდენციები შეიმჩნევა და ჩვენ არ უნდა ვაფიქრებინოთ საჯარო მოხელეებსა და პოლიტიკოსებს, რომ ხალხი ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის. ხალხმა ყველაფერი კარგად იცის. სამწუხაროდ, ფაქტია, რომ დღესაც ისევ პოლიტიკოსებს აქვთ განაწილებული რეგიონები და იმ რეგიონებს მართავენ, რომლის მაჟორიტარებიც არიან. მე მსგავსი ინფორმაცია მაქვს ზვიად ძიძიგურზეც, უბრალოდ, არ მინდა ფაქტების გარეშე ვისაუბრო. ამიტომ „ალიასთან“ ვაანონსებ, რომ ამ თემას მალე გავამჟღავნებ.

მე ეკა ბესელიაზე მხოლოდ მაგალითი მოვიყვანე, სხვებიც არიან იგივე მდგომარეობაში, ჩვენ ამ ყველაფერს დროდადრო საჯაროს გავხდით. არავის მივცემთ საშუალებას, რომ დეპუტატის მანდატი პირადი ინტერესებისთვის გამოიყენოს. ხშირად არის ხოლმე ისეთი ფაქტებიც, როცა პოლიტიკოსები გარიგებულები არიან სხვადასხვა ბიზნესკლასებთან და მაფიოზებთან. ამიტომ ჩვენი, როგორც უფლებადამცველთა ინტერესია, რომ დამთავრდეს ეს ყოველივე.

**— კი, მაგრამ მხოლოდ ერთი ფაქტით როგორ შეგიძლიათ თქვათ, რომ ეკა ბესელიას ბიზნესინტერესები აქვს ფოთის პორტში?**

– რაც ვისაუბრეთ, ამას ვადასტურებ და უკან არ დავიხევ. რაც ვთქვი, ეს ჩემი სუბიექტური აზრია და არაერთ ფაქტს ვფლობ ამ მიმართულებით. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, ეს მიჩენს იმის ეჭვს, რომ კარტელურ გარიგებებსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი. მე მაქვს ინფორმაცია ბიზნესმენისგან, რომელიც ეძებდა ბესელიასთან მისვლის გზებს, რადგან მან იცოდა, რომ პორტში ყველაფერს ის წყვეტს. რომ არ ვიყო დარწმუნებული, ამას თქვენთან არ გავახმაურებდი, ახლა ქალბატონმა ეკამ ან უარყოს, ან დაადასტუროს ეს ინფორმაცია. მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ იმ ინფორმაციას, რასაც გაძლევთ.

**— როგორც ჩემთვის ცნობილია, ფოთის პორტთან მსგავსი ინტერესები ჰქონდა როლანდ ახალაიას. მეუბნებით, რომ ახალაია ეკა ბესელიამ ჩაანაცვლა?**

– მე როლანდ ახალაიაზე დეტალური ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ჩემს პირად მოსაზრებას გეტყვით. როლანდ ახალაია დღეს არის დეპუტატი მაგრამ ის ძალას აღარ წარმოადგენს, უფუნქციო დეპუტატია, ვგულისხმობ იმას, რომ მან ხალხში გავლენა დაკარგა. დღეს კი ეკა ბესელია განკარგავს ამ ბიზნესს. სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ასე კოჰაბიტირებულად, მშვენივრად ახერხებენ იმას, რომ კლანური მმართველობა გრძელდება საქართველოში.

**„ალია“ ეკა ბესელიას სტრასბურგში დაუკავშირდა: „ეს ცრუ ინფორმაციაა. ფოთის პორტი გაყიდეს და ჯერ „რაკიას“, მერე კი „მაერსკს“ მიჰყიდეს. პორტთან არანაირი კავშირი არ მაქვს, ეს ძალიან მდარე და ისეთი ტყუილია, რომლის გადამოწმებაც უმარტივესია. ვინც იცნობს პორტის თემას, რომლის მესაკუთრეც დღეს უცხოელები არიან, მეც რომ არ მიცნობდეს და ერთი წუთითაც დაუშვას მსგავსი სიცრუისა და უწესობის დაჯერება, სასაცილოდ არ ეყოფოდა. სთხოვეთ, ვინც ამას ამბობს, ერთი ფაქტი, ერთი კონკრეტული საკითხი დაასახელოს. ვინც ამას თხზავს და იგონებს, უფრო გონივრული მოიფიქროს. ეს ჭორი ღიმილისმომგვრელია“. — განაცხადა ეკა ბესელიამ.**

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შემთხვევის ადგილიდან მიმალვაზე, პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობაზე და საავარიო ვითარების შექმნაზე ჯარიმები იზრდება



საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, 250 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს. სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა 300-ლარიან ჯარიმით ან მართვის უფლების 1 წლით შეჩერებით დაისჯება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის, ან ხმოვანი სიგნალის, ან სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება, ან ოპერატიული, ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისთვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება, შს მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით, 200 ლარით დაჯარიმებას, ასევე სპეციალური ციმციმა სიგნალისა და ხმოვანი სიგნალის, ან სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს კონფისკაციას გამოიწვევს. სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალების 6 თვით მართვის უფლების შეჩერებას ითვალისწინებს. გზაზე მარეგულირებლის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში კი, თუ აღნიშნულ სამართალდარღვევას საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება მოჰყვა, გამოიწვევს 500 ლარით დაჯარიმებას, ან 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას, ან მართვის უფლების 2 წლით შეჩერებას. სატრანსპორტო საშუალებით ბავშვთა გადაყვანის უსაფრთხოების წესების დარღვევა 40 ლარით დაჯარიმდება. (პირველი)

## საავტომობილო გზის რამდენიმე მონაკვეთზე შეზღუდვები მოქმედებს




საქართველოს საავტომობილო გზის რამდენიმე მონაკვეთზე შეზღუდვები მოქმედებს. გზების დეპარტამენტიც ცნობით, თოვლისა და ლიპყინულის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მლეთა- გუდაურის(ფოსტა) და კობი-ლარსის მონაკვეთზე თავისუფალია, ხოლო გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება ზვავდამცავი გვირაბების გავლით, ხოლო მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა – ცალმხრივად. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. (ინტერპრესნიუსი)



## ალია ქოთი

# რისი კონსპექტები დაუტოვეს „ნაციონალებმა“ კალაქეს



გუშინ გაირკვა, რომ ბოკერია მამის, ცოლისდის, სიძის, სიდედრისა და რა ვიცი, კიდევ ვისი მეშვეობით, წლიურად 45 მილიონ ლარს შოულობდა. ეს, რაც აღმოაჩინეს და რაც არა, ეჭვი გვაქვს, ამაზე მეტი იქნება. რა გამოდის? სააკაშვილის მიერ ნათქვამი, ჩემი ჩინოვნიკები სუფთად მუშაობენო, არ ყოფილა მართალი. უფრო ზუსტად კი, ისე სუფთად ვერ უმუშავიათ, კვალი რომ დაემალათ და აგერ, გამომზეურდა. შესაბამისად, ლოგიკურიც არის, „ნაციონალები“ ლარის კურსის ინფლაციის გამო ხადურს რომ უტევენ, მათ მიერ დაგროვებული ქონება იკლებს და სწორედ ეს აწუხებთ, ანუ ბოკერიას 45 მილიონი ის თანხა აღარ არის, რაც ერთი წლის წინათ იყო, თუმცა აღარც ბოკერიაა ის, რაც ერთი წლის წინათ იყო და ამ მხრივ მოვლენები ლოგიკას ექვემდებარება.

მარტო გიგას ვინ ჩივის, ქონებრივ სკანდალში სააკაშვილის დედაც გაეხვია. გიული ალასანიას 20 მილიონამდე ქონება დაუთვალეს და ახლა იმას არკვევენ, 2003 წლამდე თითქმის ცალ-ცალი კალოშით მოსიარულე ალასანიას (გიულის), როგორ გაეხსნა ბიზნესის ნიჭი და როგორ მოახერხა ამხელა თანხის დაგროვება. ძაღლის თავი ავლაბრის რეზიდენციაში უნდა იყოს დამარხული და თუ იპოვეს, ეგებ საშაურმეში ჩააბარონ კიდეც...

სამაგიეროდ, ხაიშის გარშემო მიმდინარე პროცესებია ალოგიკური. ხელისუფლებამ ბავშვების ენით დაიწყო რეკლამების კეთება, თუმცა ხაიშელები ამბობენ, ცოცხალი თავით არ დავთმობთ ტერიტორიას და თუ დაგვხოცავენ, არ ვიცითო. სვანეთში ხალხის ხოცვის გამოცდილება კი აქვს გია ბარამიძეს და კოჰაბიტაციის რეჟიმში მყოფ ხელისუფლებას შეუძლია, რჩევები სწორედ მას ჰკითხოს. აქეთ კიდევ კახა კალაძემ გახსნა კარტი – „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოსახლეობას ეს მიწა ჩამოართვა, ინვესტორს ერთ ლარად მიჰყიდა და ახლა ჩვენ ვაიძულებთ, ამ მიწაში ფული გადაიხადოსო. კახამ ისიც დაამატა, ნუ გვაიძულებენ, სახელმწიფომ ის უფლება გამოიყენოს, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ინტერესის შემთხვევაში მიწის ჩამორთმევის უფლება გვაქვსო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „ნაციონალებს“ სამოქმედო გეგმა დარჩათ და ახლა ამ გეგმით „ქართული ოცნება“ სარგებლობს. მიწის (და არამარტო) ჩამორთმევაში „ნაციონალების“ დარი პროფესიონალები მეეჭვება, მსოფლიოში მოიძებნონ და შესაბამისად, „კონსპექტებიც“ საუკეთესო ექნებოდათ.



გუშინდელი დღე მანდატურების პროტესტითაც გამოირჩა. 1500 კაცი თაკო სანიკიძის უწყებას მიადგა, სანიკიძე, პირიქით – მანდატურების სამსახურში წავიდა და როგორც იქნა, დღის ბოლოს მხარეები ერთად შეიყარნენ. მანამდე მანდატურები აცხადებდნენ, სანიკიძეს ნუ ეშინია, ჩვენ აქ ვყაყანებთ, თორემ მასთან შეხვედრისას არ ვიყაყანებთ, კარგად ვიცით, როდის არის საჭირო ყაყანიო. მანდატურის სამსახურიც „ნაციონალების“ შექმნილია და აშკარაა, ყაყანის დრო კარგად ექნებათ შერჩეული. სხვათა შორის, მათი დაცვა განათლების ყოფილმა მინისტრმა (ამავდროულად მიხეილ სააკაშვილის ძმის ყოფილმა ცოლმა) ხატია დეკანოიძემ გადაწყვიტა და სანიკიძეს თითი დაუქნია, არაფერი შეგეშალოს, თორემ ცულს მოვიტანთ, ცუნცულასო... ცუნცულ, როდის უნდა მიხვდე, რომ თქვენს ცულს პირი დაუბლაგვდა (თქვენგან განსხვავებით) და აღარც ხელის გადაგრეხის პრინციპი მოქმედებს.

ისევ ყოფილების თემით გავაგრძელოთ. სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი თენგიზ გუნავა იმდენჯერ იყო დაბარებული პროკურატურაში, გამომძიებელს ბავშვიც მოუნათლა, თუმცა მერე მიივიწყეს და გუნავაც, ოკუპანტების ენაზე რომ ვთქვათ, „პადპოლიეში“ წავიდა, თუმცა ისევ დაიბარეს. ეს ამბავი ნუგზარ წიკლაურმა გააპროტესტა, საარჩევნოდ გუნავა სამეგრელოში დიდ ამბებს აპირებდა და ახლა მისი დაშინება სურთ, მაგრამ „ქართული ოცნება“ მაინც მარცხისთვის არის განწირულიო. სხვათა შორის, წიკლაურის ქონებრივ დეკლარაციაში წერია, რომ მას არც სახლი აქვს, არც მანქანა და საერთოდ, ხელფასის გარდა, არც მასა და არც მის მეუღლეს არაფერი არ გააჩნიათ. შესაბამისად, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, მისი უსახლკარობით შეწუხებული ხელისუფლება ერთ ოთახს გამოუყოფს ვანოს მეზობლად, თუ არა და მიუსაფართა თავშესაფარში გამოინახება ფართი. იმ თავშესაფარში, პარლამენტარი რომ საქათმეს უწოდებს და იმას კი აღარ ამბობს, რამდენი საქათმე ააშენა მისმა მთავრობამ წეროვანსა და შავშვებში.

საქათმეზე გამახსენდა და აკაკი მინაშვილი დაიკარგა ოკუპირებულ ტერიტორიასავით. ასე ამბობენ, აკო ხალხს აღიზიანებდა და უკანა პლანზე ამიტომ გადასწიესო, მაგრამ, თუ ვინმე ამიხსნის, ამ პრინციპით გოკა, ჩიორა, ნუგზარი და ირმა რატომ არ გადასწიეს, მადლობელი დაგრჩებით.

თუ გახსოვთ, სამიოდე დღის წინ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა განაცხადა, საქართველო ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას აგვისტოში გააფორმებსო. გუშინ კი ევროსაბჭოს პრეზიდენტმა, ჰერმან ვან რომპეიმ გაგვახარა და აღნიშნა, საქართველო ასოცირების ხელშეკრულებას შემოდგომაზე გააფორმებსო და ახლა იმის მოლოდინში ვართ, სხვა მაღალი თანამდებობის ევროპელი როდის გამოვა და იტყვის, ევროპის კარს ზამთარში გაგიღებთო. მეორე მხრივ, ზამთარში ევროპის კარი რუსული გაზით თბება და როგორც წესი, მისი გაღება ჭირს ხოლმე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფარულ ვიდეომასალებში პირადი ცხოვრების ამსახველი ინტიმური ხასიათის კადრები კიდევ აღმოაჩინა. ინტიმური ხასიათის სცენების ამსახველი კადრები საზეიმოდ და საჯაროდ 31 იანვარს განადგურდება, თუმცა ამბობენ, „ნაციონალები“ ამ ამბავზე გულიანად იცინიან, შუბლზე თითს იკაკუნებენ და აცხადებენ, აქედან ვერ ამოშლითო. 31 იანვარს კიდევ ერთი საინტერესო ამბის მომსწრე უნდა გავხდეთ. როგორც ჩვენი სინოპტიკოსები გვპირდებიან, ქვეყნის მასშტაბით ამინდი ეროვნულ ვალუტას მიბაძავს და ტემპერატურა 10 გრადუსით დაეცემა... გასაოცარია, მაგრამ ლარი დაეცა, ტემპერატურა დაეცა და ეს საწვავის ფასი რატომ არ ეცემა?!

ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარგველაშვილს ტერმინი „ეთნიკური უმცირესობა“ არ მოსწონს



პრეზიდენტ მარგველაშვილს ტერმინი „ეთნიკური უმცირესობა“ ადეკვატური არ ჰგონია. მისივე განმარტებით:

„ფერწერულ ნახატზე რომ თქვა, რაღაც ფერი რადგან ნაკლებია, ის უმცირესიაო, ალბათ, არასწორი იქნება. ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულობა სწორედ იმის შედეგად იქმნებოდა, რომ მრავალი სხვადასხვა ერის წარმომადგენელი არა უბრალოდ ჩვენს ქვეყანაში ჰპოვებდა მშვიდობიან ნავსაყუდელს, არამედ იმის გამო, რომ სწორედ მათი მუშაობის შედეგად ყოველწლიურად და ყოველდღიურად ამ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე იქმნებოდა, მათი მებრძოლი სულის შედეგად ეს ქვეყანა მრავალი საუკუნის განმავლობაში გადარჩა“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის განმარტებით, მთავრობა ყურადღებას აქცევს, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის შეიქმნას სათანადო პირობები.

„საქართველო უნიკალური არა მარტო იმაშია, რომ ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან თვითონ ქართველები და ლანდშაფტი, არამედ იმიტომაც, რომ ამ ქვეყანაში მრავალი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ერთი მიზნისკენ ილვწის. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ შევქმნათ პირობები, არა უბრალოდ არ იყოს დისკრიმინაცია, არამედ გაძლიერდეს, აყვავდეს და კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცეს მრავალფეროვნებას“, – დასძინა მარგველაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## მუსლიმანები კომპეტენტურ პირებს ითხოვენ



როგორც „ქართველ მუსლიმანთა კავშირის“ ხელმძღვანელმა ზურაბ ცეცხლაძემ პაატა ზაქარეიშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, 2011 წელს დაფუძნებული სამუფთო არაკომპეტენტურია, რადგან მის შემადგენლობაში არარელიგიური პირები არიან. ცეცხლაძე არსებულ სამუფთოს არ აღიარებს და მინისტრს პრობლემის აღმოფხვრას სთხოვს.

„შეხვედრა იყო რელიგიურ საკითხებზე. ჩვენი, ქართველ მუსლიმანთა კავშირის ხელმძღვანელების, ძირითადი მოთხოვნა იყო იმ ხარვეზთან დაკავშირებით, რომელიც სამუფთო სამმართველოს დაფუძნებას ეხება. სამუფთო სამმართველო 2011 წელს დაფუძნდა, ჩვენ მაშინაც გავაპროტესტეთ, რადგან ის არაკომპეტენტურმა პირებმა დააფუძნეს. ვითხოვთ, რელიგიური პირების მიერ დაფუძნდეს სამუფთო, ჩვენ არ ვაღიარებთ ამ ორგანიზაციას“, – აღნიშნა ზურაბ ცეცხლაძემ.

სრულიად საქართველოს მუფთის ჯემალ პაქსაძის თქმით, მინისტრთან შეხვედრის დროს საუბარი შეეხებოდა გაყოფილი სამუფთოს გაერთიანების საკითხს. „მინისტრს მადლობა მინდა ვუთხრა ჩამობრძანებისთვის. პრობლემები, რომლებიც იყო გაყოფასთან დაკავშირებით, ვთხოვეთ, რომ გაერთიანდეს მუსლიმანთა სამმართველო, როგორც ადრე იყო. გამოსწორებულიყო დამფუძნებელთა საკითხი. ასევე მეჩეთის პრობლემა და სხვა საჭირბოროტო საკითხი. მადლობელი ვარ, რომ დღევანდელი ხელისუფლება საკითხებს უყურადღებოდ არ ტოვებს“, – აღნიშნა პაქსაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## შიშები სიცოცხლის ხანგრძლივობას 6 წლით ამოკლებსო



კი ბატონო, მართალია, არ უნდა გვეშინოდეს არაფრის, მამაცები და გულადები უნდა ვიყოთ, მაგრამ...

ფობიები და მღელვარება ნაადრევი სიბერისა და სიცოცხლის შემოკლების მიზეზებად დაასახელეს. დასკვნა ისრაელის ერთ-ერთ ქალთა ჰოსპიტალის სპეციალისტებს ეკუთვნით.

მედიკოსებმა 5 ათასი ქალის სისხლის ნიმუშები შეისწავლეს, რომელთა ასაკი 42-დან 69 წლამდე მერყეობდა.

პირველ რიგში, თითოეულმა მონაწილემ გულახდილად აღიარა, ჰქონდა თუ არა რაიმე ფობია.

შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფობიური მღელვარება უარყოფითად მოქმედებს უჯრედულ დონეზე. გაირკვა, რომ ქალებს, რომლებიც მუდმივად განიცდიან უმიზეზო შიშებს, დამოკლებული აქვთ ტელომერები – ადამიანის გენეტიკურ მასალაში არსებული მცირე ზომის ფრაგმენტები, რომლებიც დაბერების პროცესზე აგებენ პასუხს.

ექსპერიმენტების შედეგად ისიც დამტკიცდა, რომ ფობიის მქონე და არმქონე ქალების ტელომერების ზომების სხვაობა 6 წლის ეკვივალენტურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შიშები სიცოცხლის ხანგრძლივობას, საშუალოდ, 6 წლით ამოკლებს.

*podbornosti.ua*

## მეცნიერებმა სპორტის ყველაზე სასარგებლო სახეობა დაასახელეს



ზოგადად, სპორტული ცხოვრება რომ ძალიან სასარგებლო და აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, ალბათ, დაგვეთანხმებით, არა? მაგრამ მაინც, არ გაინტერესებთ, რომელია სასარგებლოებიდან ყველაზე სასარგებლო?

ამერიკელმა მეცნიერებმა ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა სახეობის სპორტის გავლენა შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ ყველაზე სასარგებლო დიდი ჩოგბურთია.

აი, დასკვნები, რომლებიც კომპეტენტურ ადამიანებს თავიანთი სიტყვების გასამყარებლად მოჰყავთ:

– ჩოგბურთი ხსნის დაძაბულობას, დაბნეულობას, დეპრესიას, სიბრაზეს, მღელვარებას;

– სპორტის ეს სახეობა იწვევს ენერგიის მოზღვავებას და ადამიანს ოპტიმიზმით ავსებს;

– კვირის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ 3-საათიანი ვარჯიში დიდ ჩოგბურთში მნიშვნელოვნად ამცირებს მძიმე დაავადებების გაჩენისა და უეცარი გარდაცვალების რისკს;

– დაბოლოს, მამაკაცებს შეუძლიათ, კორტებზე თეთრ მოკლე კაბებში გამოწყობილ გოგონებს შეხვდნენ, რაც სპორტის სხვა სახეობებში არ ხდება.

*dr20.ru*

## პოლიციელისთვის თითის მოჭმის გამო, ამერიკელს 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს



30 წლის ნიუ-ჯერსელი რაფაელ პიჩარდოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ 2010 წლის თებერვალში აღიძრა – მას ერთდროულად რამდენიმე მუხლი ჰქონდა წაყენებული, რომელთა შორის იყო დაკავების დროს სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და პოლიციელისთვის თითის მოჭმა!

ჰოდა, თითქმის 4-წლიანი გარჩევების შემდეგ, როგორც იქნა, სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და რაფაელ პიჩარდოს 15-წლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



როგორც ირკვევა, პიჩარდოს დაკავებას დაზარალებულად აღიარებული პოლიციელი ღამის კლუბში მოწყობილი დებოშის გამო ცდილობდა, რის გამოც, მას ჯარიმა და მაქსიმუმ რამდენიმეთვიანი პატიმრობა თუ ემუქრებოდა, თუმცა ახლა უკვე ციხეში საკმაოზე დიდხანს მოუწევს ყურყუტი.

ბრალდების მხარე, რომლის ინფორმაციითაც, დაკავებულმა პოლიციელს საჩვენებელი თითი, ფაქტობრივად, ძირში მოაჭამა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალიანაც კმაყოფილია, რაც არ ითქმის დაცვის მხარეზე, რომელიც განაჩენის გასაჩივრებას უახლოეს დღეებში აპირებს, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ რაფაელ პიჩარდო პატიმრობას გადაურჩეს.

*etotupo.ru*

## ცივი ყავა ლიბიდოს ამაღლებს



კვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ ცივი ყავის მოხმარებას სექსუალური ძალის მომატება შეუძლია. დადებითი ეფექტის მისაღებად ქალებმა 100-150 გრამი ასეთი ყავა უნდა დალიონ, ხოლო მამაკაცებმა – 150 და მეტი.

საერთო ჯამში, სპეციალისტებმა 26-დან 47 წლამდე ასაკის 240 ადამიანი შეამოწმეს: 120 მამაკაცი და 120 ქალი. მათ შორის, გარკვეული ნაწილის სექსუალური შესაძლებლობები ნამდვილად არ ბრწყინავდა.



მას შემდეგ, რაც მოხალისეებმა სადილზე 150 გრამი ცივი ყავა მიირთვეს, მამაკაცების 67 პროცენტში სხვაობა მაშინვე საგრძნობი გახდა. 13 პროცენტში ისეც კი მოხდა, რომ სექსუალური აქტის ხანგრძლივობამ 8-9 წუთით მოიმატა.

რაც შეეხება ქალებს, აბსოლუტურმა უმრავლესობამ სიამოვნებით აღიარა, რომ ორგაზმს გაცილებით სწრაფად მიაღწიეს, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა.

*dr20.ru*

## არქეოლოგებმა ავსტრიაში ყველაზე ძველი ბიუსტჰალტერი აღმოაჩინეს



თურმე, მხოლოდ სულ რაღაც 500 წელია, რაც ქალები აზღუდს ხმარობენ, მანამდე კი ცივი ამინდები ყველა მათგანს, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა...

ავსტრიის ქალაქ ტიროლში მდებარე ლენგბერგის ციხესიმაგრეში არქეოლოგებმა XV საუკუნის ბიუსტჰალტერი აღმოაჩინეს.

ქალის გარდერობის ოთხი საგანი რესტავრაციის დროს ჯერ კიდევ 2008 წელს იქნა ნაპოვნი, თუმცა ექსპერტიზამ მხოლოდ ახლაღა დაამტკიცა, რომ თეთრეული 1440-1485 წლების შუალედში უნდა იყოს დამზადებული. ეს იმას ნიშნავს, რომ აქამდე არსებული მოსაზრება, თითქოს ბიუსტჰალტერი დაახლოებით 100 წლის წინათ შეიქმნა, მცდარია.

– თავდაპირველად ჩვენც ვერ ვიჯერებდით და შეუძლებლად მიგვაჩნდა ის ფაქტი, რომ ასეთ ნივთებს უკვე შუა საუკუნეებში იყენებდნენ, – ამბობს არქეოლოგი ბეატრის ნუტცი.

უძველეს ბიუსტჰალტერთან ერთად ნაპოვნია ტექსტილის დაახლოებით 2700 ფრაგმენტი, მათ შორის, XV საუკუნის მამაკაცის პანტალონები.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ევროპაში ბიუსტჰალტერი 1889 წელს დააპატენტეს, ხოლო ამერიკაში – 1914 წელს.

*today.kz*

## ქალის ორგაზმისთვის არც ისე ბევრი ყოფილა საჭირო...



არაერთგზის დამტკიცებულა, რომ უხარისხო სექსი ოჯახისა და წყვილთა ურთიერთობის დანგრევის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზია. ამდენად, მეცნიერები ცდილობენ, პარტნიორებს როგორმე დახმარება აღმოუჩინონ და ამ შემთხვევაში, ავსტრალიელების კვლევის შედეგებზე მოგახსენებთ:

როგორც ირკვევა, მწვანე კონტინენტზე ჩატარდა საკმაოდ მასშტაბური კვლევა, რათა დადგენილიყო ის აუცილებელი პირობები, რომელთაც ქალის სიამოვნების უმაღლეს მწვერვალამდე მიყვანა შეუძლია.

აღმოჩნდა, რომ საქმე არც ისე რთულადაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. კერძოდ, 20 ათასი გამოკითხული რესპონდენტის პასუხებიდან გაირკვა, რომ ორგაზმის განსაცდელად სექსის დროს... პოზების შეცვლაა საჭირო, თუნდაც, სამჯერ მაინც.

ზუსტად რომელ პოზებს ეხება საქმე, მეცნიერები არ აზუსტებენ, თუმცა განმარტავენ, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია მრავალფეროვნება და არა თვითონ პოზები.

სტატისტიკის თანახმად, ერთ პოზაში ორგაზმს მხოლოდ გამოკითხულთა 30 პროცენტი განიცდის, მრავალფეროვნების შემთხვევაში კი „ქალურ ბედნიერებას“ დაახლოებით 70-80 პროცენტი ეზიარება. ჰოდა, გაინძერით, კაცებო, გაზაფხულია, ჩქეფს და გადმოსჩქეფს სიცოცხლე და ნუ ზარმაცობთ!

*myjane.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# დამღლელი და ძალების გამომცლელი სამსახური გაქვთ? მსხალი მიირთვით



რა თქმა უნდა, ხელფასის მომატებასა და თანამდებობრივ დაწინაურებაზე უკეთესი არც ისე ბევრი რამეა, მაგრამ რაში გვჭირდება ეს ყველაფერი, თუკი ჯანმრთელობა გაგვინადგურდება?!

ცოტა არ იყოს, გასაკვირი კი არის, როცა მსხლის ასეთ საოცარ თვისებებზე საუბრობენ, რადგან, რაც თავი გვახსოვს, ამ ხილთან დაკავშირებით მეცნიერებს დადებითი (არც უარყოფითი) არასოდეს არაფერი უთქვამთ.

ასეა თუ ისე, სწორედ მსხალს უწოდეს ოფისის თანამშრომლის მშველელი და ახლავე გეტყვით, რატომ:

– მსხალი საუკეთესო პროდუქტია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას შეუძლია გაღიზიანების, ქრონიკული დაღლილობის, დეპრესიის, უძილობის და სერიოზული ნერვული აშლილობების აღკვეთა, – ამბობენ მეცნიერები.

მოგეხსენებათ, ჩამოთვლილი უსიამოვნებები ოფისის თანამშრომლის საკმაოდ ხშირი „მასპინძელია“.

სპეციალისტების თქმით, მსხალი საკვების მონელების სისტემის ბუნებრივი დეტოქსიკატორია, რაც ვიტამინებისა და უამრავი სასარგებლო ნივთიერების „ბრალია“. მსხლის რეგულარული მიღება არა მხოლოდ მომნელებელ სისტემას აუმჯობესებს, არამედ დადებითად მოქმედებს კანის მდგომარეობაზე, თმებს უფრო ჯანსაღ იერს უნარჩუნებს, ასევე, შესანიშნავად ახერხებს ძალების აღდგენას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ყველამ, ვინც ოფისში მუშაობს, შესანიშნავად იცის, რომ სამუშაოს ერთი შეხედვით მშვიდი ხასიათი მონეტის მხოლოდ ერთი მხარეა და მის უკან იმალება ინტრიგები, დაძაბულობა და სტრესის სხვა მიზეზები. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ ე.წ. საოფისე დაავადებები, რომლებსაც იწვევს კომპიუტერთან მუშაობა, მჯდომარე ცხოვრების წესი.

ეფექტური პროფილაქტიკისთვის საკმარისია, დღეში, სულ რაღაც, 2 ცალი მსხლის მიღება. ამასთანავე, საუკეთესო შედეგის მისაღებად, სპეციალისტების რეკომენდაციაა, მსხალს წყალიც მივაყოლოთ.

მოდით, რადგან ოფისსა და მჯდომარე ცხოვრების წესზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, კიდევ ერთ საინტერესო და ალბათ, ყველასთვის მოულოდნელი კვლევის შედეგების შესახებაც მოგიყვებით.

როგორც ირკვევა, ჰანტერის კოლეჯის (ნიუ-იორკი) სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მჯდომარე ცხოვრების წესი სულაც არ არის... გასუქების მიზეზი. ყველაზე საკვირველი ამ მოსაზრებაში მაინც ის არის, რომ თურმე, ოფისის თანამშრომლები დაახლოებით იმ რაოდენობით კალორიას წვავენ, როგორი მაჩვენებელიც... მონადირეებს აქვთ.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად ცხოვრების წესისა, ფაქტობრივად, ერთი და იმავე რაოდენობის კალორიას წვავს. ჭარბი წონის პრობლემის ნამდვილი მიზეზი კი ზედმეტი საკვების მიღებაა.

ფიზიკური აქტიურობის უმთავრესი სარგებელი ის არის, რომ ადამიანმა ავარჯიშოს გული და კუნთები და არა წინააღმდეგობა გაუწიოს ზედმეტ წონას, როგორც ამას აქამდე გვეუბნებოდნენ ხოლმე.

***myjane.ru; pronowosti.ru***





დაქალები ჭორაობენ:

– ჩემი ქმარი ან მხოლოდ დღესასწაულებზე სვამს ან როცა აბანოში მიდის.

– ბედნიერი ქალი ყოფილხარ!..

ამასობაში ქმარი დაბრუნდა:

– საყვარელო, დღეს რამე დღესასწაული არის?

– არა...

– მაშინ აბანოში წავედი...

*****



ძალიან ცხელმა წყალმა საბავშვო აბაზანაში ახალშობილი კოტე აიძულა, ენა წელიწად-ნახევრით ადრე აედგა...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***





# ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ადმინისტრაცია დიდი გულისტკივილით იუწყება ბატონი **ზურაბ ბენდელიანის** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის გარდაცვალებას.

ბატონმა ზურაბმა ცხოვრების არცთუ ხანგრძლივი გზა განვლო – იგი ორიოდე კვირაში 65 წლისა გახდებოდა; მათგან 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ის სრულად, ბოლო დღემდე ემსახურა დერმატოვენეროლოგთა ახალი კადრის აღზრდას. ადამიანური და პროფესიული თვისებებით მან ექიმთა არაერთი თაობის გულსა და გონებაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი.

ბატონი ზურაბ ბენდელიანის პროფესიული ბიოგრაფია დაიწყო 1973 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – სამედიცინო უნივერსიტეტის) დამთავრებისთანავე. მან იმთავითვე გააკეთა არჩევანი და პროფესიული საქმიანობა საკმარისად რთულ სფეროს – დერმატოვენეროლოგიას დაუკავშირა; სრულიად ახალგაზრდამ, მან კანისა და ვენერიულ სნეულებათა კათედრაზე ინტერნატურაში განაგრძო სწავლა და აქ განვლო აკადემიური და პროფესიული კარიერის ყველა ეტაპი. იგი, სამედიცინო უნივერსიტეტის აქტიური და ერთგული წევრი, ყოველთვის იყო იქ, სადაც მისი კომპეტენცია და გამოცდილება სჭირდებოდა მის Alma Mater-ს; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეული წევრი, დიდი თუ პატარა, ყოველთვის გრძნობდა მის სითბოსა და კოლეგიალობას.

ბატონი ზურაბი 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის, საინტერესო კვლევებისა და წინადადებების ავტორია; მაგრამ ყველასთვის, ვინც ბატონ ზურაბს შეხვედრია და ადამიანური თუ საქმიანი ურთიერთობა ჰქონია მასთან, გამორჩეულ მოგონებად დარჩება მისი კომუნიკაბელობა, თავმდაბლობა, მხარში დგომის უნარი, ავკარგიანობა – თვისებები, ასე რომ ამშვენებს ადამიანს.

ბატონმა ზურაბ ბენდელიანმა ღირსეულად იცხოვრა და პროფესიული სიმწიფის ხანაში წავიდა ისე, რომ გაოგნებული და უკიდურესად გულნატკენი დატოვა მეუღლე, შვილები, მოწაფეები, მეგობრები, ახლობლები და კოლეგები.

ბატონ ზურაბ ბენდელიანის წასვლა მიწიერი ცხოვრებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ფურცელია. ზურაბ ბენდელიანის სახელმა და სახემ კი მუდმივი ადგილი ჰპოვა მისი მოყვარული და პატივისმცემელი ადამიანების გულსა და მოგონებებში.

**მშვიდობით, ბატონო ზურაბ!**

***თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი***

თემურ ჭიჭინაძე, მერაბ ჯაფარიძე, ლადო გიორგაძე, გია ჯავახიშვილი, ჩიორა შავდია, ვახო სულაძე, ბაბუკი კალანდაძე, რომიკო ანჯაფარიძე, ვაჟა გიგინეიშვილი, ბიჭი შავდია, გოგი კოლუაშვილი, იმედო ფხაკაძე, გოგიტა ქერქაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

**დავით (ტიკუშა) გიგინეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

# ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***
**30 იანვარი:** მაქსიმალურად მოთოკეთ თქვენი ენა, ძალიან დიდია ალბათობა, ისეთი რამ ილაპარაკოთ, რაც სანანებელი გაგიხდებათ.

***კურო 22.04-21.05***
**30 იანვარი:** დღეს სამყარო სწორედ ისეთი იქნება, როგორის ნახვაც გინდოდათ, დასაშვებ ფარგლებში, რა თქმა უნდა. გამოიყენეთ მომენტი.

***ტყუპები 22.05-21.06***
**30 იანვარი:** თუ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რაღაცის წინააღმდეგი იქნებით, ეს ხმამაღლა განაცხადეთ. რომც არ მოგისმინონ, მომავალში ეს ნათქვამი მაინც გამოგადგებათ.

***კირჩხიბი 22.06-22.07***
**30 იანვარი:** ნებისმიერი რამის ძიება, რაც არ უნდა იყოს ეს, თქვენთვის დიდ სიამოვნებად იქცევა, იმის მიუხედავად, რომ ყველაფერს მოიძიებთ.

***ლომი 23.07-22.08***
**30 იანვარი:** ძალიან ფრთხილად იყავით, დიდი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. შეეცადეთ, ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რაც სანანებელი გაგიხდებათ.

***ქალწული 23.08-22.09***
**30 იანვარი:** რა მიზეზით და რატომ, გაუგებარია, მაგრამ დახმარებისთვის შეიძლება ბევრმა მოგმართოთ. თუ რამე შესაძლებლობა გაქვთ, უარი არ უთხრათ.

***სასწორი 23.09-22.10***
**30 იანვარი:** შეეცადეთ, ნაკლებად გამოჩნდეთ საზოგადოებაში, თორემ არის ალბათობა, საკუთარ პრობლემებზე საუბრით გადაგღალონ.

***მორიელი 23.10-21.11***
**30 იანვარი:** დღეს შესაძლოა, დასვენების საშუალება მოგეცეთ. სულ არაფრის კეთებას უმჯობესია, რამე მსუბუქი, ინტელექტუალური საქმით გაერთოთ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***
**30 იანვარი:** წინდახედულება გმართებთ. შეიძლება თქვენი აზრის გამოთქმა მოგინდეთ. ეს ისე გააკეთეთ, რომ გარეშე დაინტერესებულმა პირებმა ვერ მოისმინონ.

***თხის რქა 22.12-19.01***
**30 იანვარი:** თუ მაღაზიებში სიარული გიყვართ, ვინმე გაიყოლეთ. არის ალბათობა, რომ ფული ტყუილად გაფლანგოთ და მერე ამის გამო ინანოთ.

***მერწყული 20.01-18.02***
**30 იანვარი:** თუ ვინმე ფიქრობს, რომ დღეს მის განკარგულებებს შეასრულებთ, ცდება. ძალიან ჯიუტი იქნებით და შეიძლება სხვები ატაროთ თქვენი ნება-სურვილით.

***თევზები 19.02-20.03***
**30 იანვარი:** თუ უკმაყოფილების გრძნობა გაწუხებთ, დღეს მისგან განთავისუფლების საშუალება მოგეცემათ, ოღონდ ეს კარდინალური მეთოდებით არ გააკეთოთ.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ადმინისტრაცია მწუხარებას გამოთქვამს ბატონი **ნუგზარ გოგოხიას** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

მედიცინის დოქტორი ნუგზარ გოგოხია დაიბადა 1945 წელს ქ. გალში. 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა სოხუმის №2 საშუალო სკოლა. 1968 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად, უმცროს მეცნიერ-მუშაკად; მოსკოვის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურის დასრულების შემდეგ, 1980 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „კარდიოლოგიის“ სპეციალობით; ამის შემდგომ ის დაუბრუნდა თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, როგორც უფროსი მეცნიერ-მუშაკი და კარდიოლოგი; 1986-2000 წწ. მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში; 2000 წლიდან ბატონი ნუგზარი ჩაერთო პოსტდიპლომურ სამედიცინო განათლებაში საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სამედიცინო განათლების ფაკულტეტის დეკანის, ხოლო 2004-2006 წწ. – უწყვეტი პროფესიული განვითარების განყოფილების გამგის სტატუსით.

2006 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან მიერთების შემდგომ, გარდაცვალებამდე ნუგზარ გოგოხია ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურს.

ბატონი ნუგზარი ბრძანდებოდა განათლებული, ინტელიგენტი, კაცთმოყვარე, პატიოსანი და სამაგალითო ადამიანი და ასეთად დარჩება ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის გულში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდი გულისტკივილით ემშვიდობება თავის ერთგულ და კვალიფიციურ თანამშრომელს.

**მშვიდობით, ბატონო ნუგზარ!**

***თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი***

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

# ჭურჭლის ფერს მადის მომატება შეუძლია



გამოდის, რომ თუკი არ გნებავთ, ზომაზე მეტი მიირთვათ, ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რა ფერის თეფშზე გაქვთ კერძი გადაღებული. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამაზე მეტყველებს კვლევების შედეგები: ჭურჭლის ფერს მადის მომატება ან პირიქით, შემცირება შეუძლია.

– თეთრი – აუმჯობესებს მადას, რადგან თეთრ ფონზე ნებისმიერი საკვები ძალიან მიმზიდველად გამოიყურება. ასეთი ჭურჭელი შეუფასებელია ზედმეტი კილოგრამების დაგროვების მსურველთათვის.

– სტაფილოსფერი, მწვანე და ვარდისფერი – ასეთი შეფერილობის ჭურჭელიც იმათ გამოადგებათ, ვისაც სურს, წონაში ცოტა მოიმატოს. ამასთანავე, მატულობს არა მხოლოდ მადა, არამედ კუჭის წვენის გამოყოფაც.

– ყვითელი – კვლავაც მადის გაძლიერებაზე მოქმედებს, მაგრამ საშუალებას იძლევა, ადამიანი მალე დანაყრდეს. გახდომის მსურველებს ურჩევენ, პირველი კერძი სწორედ ყვითელი ჭურჭლიდან მიირთვან.

– წითელი – ასეთი თეფში შიმშილის გრძნობაზე კონტროლს ამცირებს და საკვების სწრაფად მიღება-ჩაყლაპვას ასტიმულირებს. წონაში დაკლების მსურველებისთვის წითელი ჭურჭელი მიზანშეწონილი არ გახლავთ.

– ცისფერი – ეს ფერი მადაზე არ მოქმედებს, მაგრამ არ ღირს ცისფერი ჭიქების გამოყენება: მათ დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გაჩენა შეუძლიათ, რასაც აუცილებლად მოჰყვება რაიმე სასუსნავის შეჭმა.

– ლურჯი, იასამნისფერი, ჭაობისფერი და შავი – ჭურჭელი საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, რასაც ვერ იტყვი საკვებზე, რომელიც მასზეა მოთავსებული. სპეციალისტების თქმით, ვისაც ზედმეტი კილოგრამების მოშორება სურს, სწორედ ასეთი თეფშები უნდა გამოიყენოს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*pronowosti.ru*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძუაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი
ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ძევანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.20

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.